# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 სექტემბერი 2000 №187 (1209) | ფასი 50 თეთრი


# ბრინჯაოს სერიალი მუხრან ვახტანგაძემ განაგრძო

## საქართველოს მთავრობას ჯიბეში ხელის ღრმად ჩაყოფა მოუწევს



ელგუჯა ბერიშვილი სიდნეიდან

ჰიმნი გვინდა, ჰიმნი — არ ცხრებიან „აქაური" ქართველები. ჰიმნი მოგვასმენინეთ, ჰიმნი — წარამარა რეკავენ თბილისიდან. ჰიმნი ჯერ არ დაუკრავთ, მაგრამ ქართული დროშა უკვე ოთხჯერ აღიმართა სიდნეის ოლიმპიურ სარბიელზე. ოთხჯერვე — ბრინჯაოს მედლის „თანხლებით".

გუშინ ქართველთა სიდნეური „ბრინჯაოს სერიალი" ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ მუხრან ვახტანგაძემ (85კგ) გააგრძელა.

იხილეთ მერვე გვერდი



REUTERS

მუხრან ვახტანგაძე ოლიმპიური ბრინჯაოთი

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

### მძლეოსნობა

ვაჟები. 800 მ
ნილს შუმანი (გერმანია)

ქალები. ბადრო
ელინა ზვერევა (ბელარუსი)

ვაჟები. 400 მ. თარჯრბენი
ანჯელო ტეილორი (აშშ)

ქალები. 400 მ. თარჯრბენი
ირინა პრივალოვა (რუსეთი)

ქალები. 100 მ. თარჯრბენი
ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი)

### ტაეკვონდო

ქალები. 49 კგ
ლორენ ბერნსი (ავსტრალია)

ვაჟები. 58 კგ
მიხალის მურუცოსი (საბერძნეთი)

### ბეისბოლი

აშშ
(ბრენტ აბერნატი, ბრედ ვილკერსონი, მაიკ ნეილი, ერნი იანგი, ჯონ კოტონი, მაიკ კანკუიდი, დუგ მინტკევიჩი, პატ ბორდერსი, ადამ ევერეტი, ბენ შიტსი, შონ ბერაგსი, მარკუს იენსენი, კურტ ეინსვორთი, ჯონ როჩი, როი ოსვალდი, ენტონი სანდერსი, ბობ შეიკი, ტოდ უილიამსი, ტიმ იანგი, რაიან ფრენკლინი, კრის ჯორჯი, რიკ კრივდა, შეინ ჰიმსი, ტრევის დოკანსი).

### ცხენოსნობა

გაწვრთნა. გუნდური
გერმანია
(იზაბელ ვერტი, ნადინ ჩაპელმანი, ულა ზალცბერგი, ალექსანდრა სიმონსი)

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

58 კგ
არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი)

69 კგ
ფილიბერტო ასკუი (კუბა)

85 კგ
ჰამზა ერლიქაია (თურქეთი)

130 კგ
რულონ გარდნერი (აშშ)

### ჩოგბურთი

ქალები
ვინუს უილიამსი (აშშ)

ვაჟთა წყვილები
სებასტიან ლარუ — დანიელ ნესტორი (კანადა)

### ველორბოლა

ვაჟები. ჯგუფური რბოლა
იან ულრიხი (გერმანია)



REUTERS

რობერტო კარლოსის ლოცვამ „რეალი" გადაარჩინა, წყვილმა გოლმა კი სამი ქულა მოუტანა

## სიცოცხლე, რომელიც მიზანზე მეტია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

თასის მფლობელი „რეალის" მიზანი კვლავ თასის დაუფლებაა. რობერტო კარლოსის წყვილი გოლით ლევერკუზენში მოპოვებული სამი ქულაც ამ მიზნისკენ გადადგმული ნაბიჯია... გუშინწინ „რეალი" სიკვდილს გადაურჩა, გუშინ კი ერთადერთი მოგებული სტუმარი გუნდი გამოდგა. ყოფნა — არყოფნა...

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი | 2 |
| რეალი | 3 |
| სპარტაკი | 3 |
| სპორტინგი | 1 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 |
| ჰერენვეენი | 0 |
| ვალენსია | 1 |
| ლიონი | 0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| ლაციო | 0 |
| სპარტა | 3 |
| შახტარი | 2 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მონაკო | 5 |
| შტურმი | 0 |
| გალატასარაი | 3 |
| რეინჯერსი | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური

## A ჯგუფი

### ლევერკუზენი 2:3 რეალი

1:0 შნაიდერი (27), 1:1 რობერტო კარლოსი (32), 2:1 ბალაკი (44), 2:2 რობერტო კარლოსი (75), 2:3 გუტი (69)
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, რეები, ჟივკოვიჩი, იენს ნოვოტნი, რ. კოვაჩი, შნაიდერი (ბრდარიჩი 75), რამელო, ბალაკი, ზე რობერტო (გრეშკო 75), ნოივილი, რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, კარანკა, რობერტო კარლოსი, ელგერა, ფლავიო კონსეისაო (კამბო 90), სოლარი (რაული 51), გუტი, ფიგუ, მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
22 500 მაყურებელი

### სპარტაკი 3:1 სპორტინგი

0:1 ზა პინტუ (24), 1:1 რობსონი (43), 2:1, 3:1 მარკაო (67, 81)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისუ, ანანკო, ბულატოვი, ტიტოვი, შტოლცერსი (ბარანოვი 46), პარფიონოვი, შირკო (მარკაო 46), ბეზროდნი, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
სპორტინგი: შმაიხელი, ანდრე კრუზი, დიმაში, უგო (აკოსტა 68), პრატესი, ბეტუ სევერუ, რუი ჟორჟე (ტონიტო 68), პ. ჰორვატი, ბინუ, ზა პინტუ, მ. მპენზა (ფაბრი 83)
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
70 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

## B ჯგუფი

### არსენალი 2:0 ლაციო

1:0, 2:0 ლიუნგბერგი (43, 56)
არსენალი: სიმენი, კიოუნი, ადამსი, ლუენი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, ლიუნგბერგი, ბერხკამპი (ვიასი 79), კანუ, ანრი (ვილტორდი 83)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი, ნედვედი, სიმეონე, ვერონი, სტანკოვიჩი (ლომბარდო 46; რავანელი 74), კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი (სალასი 57)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
35 000 მაყურებელი

### სპარტა 3:2 შახტარი

1:0 როსიცკი (54), 1:1 ზუბოვი (56), 2:1 ჰორნაკი (73), 3:1 იაროშიკი (82), 3:2 აბრამოვი (84)
სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, ლაბანტი, ჰორნაკი, სვობოდა (კოლუშეკი 87), ირჟი ნოვოტნი, ობაიდინი (პროხაზკა 76), ბოლფი, სიონკო (პაპუშეკი 90), იაროშიკი, როსიცკი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, ბახარევი, კოვალევი (აბრამოვი 76), ზუბოვი, ატელკინი (ბიელიკი 79), ვორობეი, შევჩუკი, ალიუტა
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
7 931 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| შახტარი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |

## C ჯგუფი

### ვალენსია 1:0 ლიონი

1:0 ზაჰოვიჩი (78)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, მიია (ზაჰოვიჩი 69), ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი (ვისენტე 80), ხუან სანჩესი, დიეგო ალონსო (კარეუ 62)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ლიონი: კუპე, ლავილი, ედმილსონი, შანელე, ბრეშე, ლინარესი (გოვუ 83), მიულერი, ფოე, მალბრანკი, ს. ანდერსონი, მარლე
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
34 000 მაყურებელი

### ოლიმპიაკოსი 2:0 ჰერენვენი

1:0, 2:0 ჯოვანი (52, 69)
მენდიეტამ ვერ გაიტანა პენალტი (36, მეკარე)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ამანატიდისი, გეორგატოსი, ანცასი, პაცაცოგლუ, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ლუსიანო (იანაკოპულოსი 82), ზეტერბერგი (პურსანიდისი 87), ჯოვანი, ოფორი კუაე (ნინიადისი 90)
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
ჰერენვენი: ვონკი, ებინგე, ვენემა, ჰანსმა, გ. დე ნოიერი, ნურმელა, რადომსკი, იენსენი, ლურლინგი (ტუპუტერუ 82), ტალანი, ჰუიზინგი
მწვრთნელი: ფოშ დე ჰაანი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
52 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## D ჯგუფი

### გალათასარაი 3:2 რეინჯერსი

1:0 ბიულენთ აქინი (52), 2:0 ჰაქან უნსალი (57), 3:0 ჟარდელი (70), 3:1 კანჩელსკისი (72), 3:2 ვან ბრონკჰორსტი (90)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთ ქორქმაზი, პოპესკუ, ემრე (ფარუკი 76), ფათიჰი, დავალა უმითი, ბიულენთ აქინი, ჰაქან უნსალი, ერგუნი, ჟარდელი, ჰასან სასი (აჰმეთი 46)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რეინჯერსი: კლოსი, ამორუზო, კონტერმანი, ნუმანი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მოლსი (დოდსი 67), კ. რეინა, რ. დე ბური, თუგაი, ჯონსტონი (კანჩელსკისი 60)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
22 000 მაყურებელი

### მონაკო 5:0 შტურმი

1:0, 2:0, 3:0 სიმონე (13, 38, 41), 4:0 ფარნერუდი (76), 5:0 ნონდა (84)
მონაკო: პორატო, ჟურიეტი, კრისტენვალი, მარკეში, ირლი, დი ტომასო, ჯეტუ (ფარნერუდი 73), ჟიული (ბონალი 46), გრაველენი, სიმონე (პრსო 56), ნონდა
მწვრთნელი: კლოდ პუელი
შტურმი: შიკლგრუბერი, ფოდა (შტრაფნერი 46), მამედოვი (ფელდჰოფერი 46), პოპოვიჩი (საბიჩი 68), შოპი, პრილასნიგი, ფლურკინი, რაინმაიერი, მინავანდ ჩალი, იურანი, კორსოში
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
8 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 6 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| მონაკო | 3 | 1 | 0 | 2 | 7:4 | 3 |
| შტურმი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 3 |



ჟარდელმა, რა თქმა უნდა, გაიტანა



არსენალი — ლაციო 2:0. შვედმა პატრიკ ლიუნგბერგმა ორი გოლით იტალიის ჩემპიონი გადათელა



სპარტაკი — სპორტინგი 3:1. ბრაზილიელმა მარკაომ რუსები ორჯერ ახეირა



მონაკო — შტურმი 5:0. გრაცელთა სავალალოდ, მარკო სიმონეს (№11) პირველი ფრანგული ჰეთთრიკი მათ კარში გავიდა

## იტალია

### სერია B. IV ტური

პიაჩენცა 2:3 სიენა
ვენეცია 2:2 კოზენცა
ანკონა 0:0 სამპდორია
ტრევიზო 1:1 ტორინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 |
| კალიარი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| პიაჩენცა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ვენეცია | 4 | 2 | 2 | 0 | 8:6 | 8 |
| სამპდორია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| კოზენცა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ჩიტადელა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ანკონა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| მონცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტერნანა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| პისტოიეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| სალერნიტანა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ემპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| კროტონე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |
| ჯენოა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| რავენა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ტორინო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ტრევიზო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| პესკარა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | 0 |

## ინგლისი

### ლიგის თასის II ეტაპი

### საპასუხო მატჩები

როვერსი — ევერტონი 1:1 პენ. 4:2 (1:1); კოლჩესტერი — შეფილდი 0:1 (0:3); ქოვენთრი — პრესტონი 4:1 (3:1); ფულემი — ჩესტერფილდი 4:0 (0:1); უენსდი — ოლდემი 5:1 (3:1); ვესტ ჰემი — უოლსოლი 1:1 (1:0)

## რანიერიმ რატი იახლა

**გუშინწინ** ჩვეულებრივ ვარჯიშზე მისულ რატი ალექსიძეს „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ახედ-დახედა, მხრები აიჩეჩა და ჰკითხა — კი მაგრამ, შენ არ გითხრეს, რომ შვეიცარიაში მოდიხარ?

დღეს ლონდონური კლუბი შვეიცარიაში ადგილობრივ „სენტ გალენს“ ხვდება უეფას თასის საპასუხო მატჩში. „ჩელსის“ შინ მოგებული 1:0 აქვს შესანარჩუნებელი და ამ საქმეში, შესაძლოა, ჩვენებურმაც მიიღოს მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, გუნდის 27-ე ნომერი სხვებთან ერთად ემზადება ამ შეხვედრისთვის.

რანიერის გადაწყვეტილება საკვირველი სულაც არაა — რატიმ ორშაბათს სათადარიგოთა ჩემპიონატის მორიგ ტურში მორიგი გოლი შეაგდო. ამჯერად „ჩელსის“ რეზერვთა გუნდმა „ლესტერი“ დაამარცხა 2:1. რანიერი ამ თამაშსაც დაესწრო და... თუმცა უკვე იცით — ალექსიძე სენტ გალენში იახლა.

იურიდიული და
საადვოკატო
მომსახურება შეღავათიან
ფასად
ფირმების რეგისტრაცია
სწრაფად და იაფად

მარჯანიშვილის ქუჩა №5;
II სართული; ოთახი №228

ტელეფონი: 95 53 20;
62 56 52 (საღამოს)

დღევანდელ „სარბიელში“ საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 5, 6, 11, 12

# რეალი გადარჩა!

## ღვთის წყალობამ, რობერტო კარლოსის ლოცვამ და იბერიელი მიმინოს სიმარჯვემ მადრიდელი ვარსკვლავები ცას შეატოვა

*გუშინ „ლევერკუზენ“ — „რეალის“ მატჩი შეიძლებოდა, ჩაშლილიყო. შეიძლებოდა, არც არასდროს გამართულიყო, სხვა მატჩებში კი ფეხბურთელები შავი სამკლაურებით გამოსულიყვნენ...*

**სამშაბათს** ესპანური ავიაკომპანია „იბერიას“ ბოინგი ჩარტერულ რეისს ასრულებდა: მადრიდი — დიუსელდორფი. საფრანგეთის თავზე, პარიზის მახლობლად, 11 ათასი მეტრის სიმაღლეზე ერთ-ერთი კონდიციონერი გაფუჭდა და თვითმფრინავის ჰერმეტულობამ რღვევა დაიწყო. პილოტს, ხოსე მარია ბიელსას სასწრაფოდ ექვსი ათას მეტრამდე დაშვება მოუხდა. თან პანიკის თავიდან ასაცილებლად, გიდობა იკისრა: ქვემოთ პარიზია, აი, სენაც, იქით, შემაღლებულ ადგილზე მონმარტრია... მგზავრებს, რეალელ ფეხბურთელებს, ექსკურსიისთვის არ ეცალათ. სულ რაღაც ორ წუთში ხუთი ათას მეტრიანმა ვარდნამ თავისი საქმე გააკეთა — პანიკა დაიწყო.

ივან ელგერას თვითმფრინავით მგზავრობისა ბავშვობიდან ეშინია, მაგრამ, დენის ბერხკამპისგან განსხვავებით, აქამდე შიშს ვაჟკაცურად ებრძოდა. ეს აქამდე. ახლა კი... მადრიდში ავტობუსით დავბრუნდებიო — სასტუმროში დაბინავების შემდეგ ძლივს ამოღერღა ფეხბურთელმა. ვარდნის დაწყებისთანავე ის დაემხო და რის ვაი-ვაგლახით გადაიყვანეს პილოტების კაბინაში, რათა თავად დარწმუნებულიყო, რომ ბოინგი მიწას არ დაენარცხებოდა. რობერტო კარლოსმა, ჭეშმარიტმა კათოლიკემ, მთელი დარჩენილი დრო ხმამაღალ ლოცვაში გაატარა, დანარჩენები კი გაფითრებულნი ისხდნენ და მეტყველებისა თუ მოძრაობის უნარი წართმეოდათ. ლუიშ ფიგუმ ეგებ „ბარსელონაში“ გატარებული ბედნიერი წლებიც გაიხსენა და იმ დღეს წყევლიდა, როცა ფლორენტინო პერესს გადაეყარა. სტიუარდესები თავს დასტრიალებდნენ „რეალის“ საპატიო პრეზიდენტ ალფრედო დი სტეფანოს, რომლის მხცოვანი გულისთვის ასეთი გადატვირთვა ზედმეტი აღმოჩნდა.

საშინელ წუთებზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და ვთქვათ — მადრიდელთა „ბოინგი“ მშვიდობიანად დაჯდა დიუსელდორფის აეროპორტში. იქიდან ლევერკუზენში ესპანელები, ცხადია, ავტობუსით წავიდნენ.

## კანიჯა ნემსაძის მხარდამხარ

**თუ** ეს ტრანსფერი განხორციელდა, კლაუდიო კანიჯა გიორგი ნემსაძის თანაგუნდელი გახდება. „დანდის“ მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ გადაწყვიტა, 33 წლის არგენტინელი ფორვარდი შოტლანდიაში მიიწვიოს. 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე ფეხბურთელთან მოლაპარაკებები უახლოეს დღეებშია დაგეგმილი. „შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, თუმცა კანიჯასთან დალაპარაკებას მაინც ვაპირებთ. „დანდისთვის“ უდიდესი მიღწევა იქნება, თუ არგენტინელი დათანხმდება. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ დავიყოლიოთ“ — განაცხადა ბონეტიმ.

იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. წინა სეზონი მან „ატალანტაში“ გაატარა და სერია A-ს საგზურის მოპოვებაში წვლილიც შეიტანა. კანიჯა ბერგამოულ კლუბში ადრეც თამაშობდა. იგი იქ პირველად 1989 წელს „ვერონადან“ მივიდა. კლაუდიო „დანდის“ ახალშენაძენის, უოლტერ დელ რიოს მეგობარი ყოფილა, ამ უკანასკნელს თურმე ძალიან სურს, კანიჯა მის გუნდში ჩაირიცხოს და საამისოდ ყველა ღონეს ხმარობს. „დანდის“ მწვრთნელი კი ცდილობს, გუნდის ფორვარდის, ფაბიენ კაბალიეროს შემცვლელი მონახოს, რომელიც ტრავმის გამო ალბათ იანვრამდე ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი დანდურ დერბიში დაშავდა.

გრძელთმიანი არგენტინელის პასუხი ჯერჯერობით უცნობია. არც „ატალანტას“ ხელმძღვანელები აკონკრეტებენ ვითარებას, თუმცა თუ არგენტინელმა შოტლანდიაში გადასვლა მოისურვა, ბერგამოული კლუბი ვერაფერს გახდება — როგორც ვთქვით, კანიჯა თავისუფალი აგენტია.

„ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი ფეხბურთელი არგენტინის ნაკრების ღირსებას დიეგო მარადონას მხარდამხარ იცავდა. ისე მოხდა, რომ 1993 წელს იგი წელიწადზე მეტით ჩამოაშორეს ფეხბურთს, რადგან ორგანიზმში კოკაინი აღმოაჩნდა. მაშინ კანიჯა „რომაში“ თამაშობდა. დისკვალიფიკაციის მოხსნის შემდეგ არგენტინელმა ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იასპარეზა.

ბონეტის „დანდიში“ კიდევ ერთი არგენტინელის, ბეტო კარანსას მიწვევაც სურს. შემტევი სტილის ნახევარმცველმა შოტლანდიაში რამდენიმე დღე გაატარა და „დანდისთან“ ერთად ივარჯიშა. სქოთებს სამხრეთამერიკელის დატოვება განუზრახავთ.

## ვაი, რა ზიზუ დავკარგე?!

**სერ** ალექს ფერგიუსონმა ახლახან გაამხილა, რომ ზინედინ ზიდანის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაყვანის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან. იგი ფრანგით თურმე რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა, როცა ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი „ბორდოში“ თამაშობდა, თუმცა მისი „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბირება ვერ მოახერხა. შოტლანდიელი აღიარებს, რომ ეს მის სამწვრთნელო კარიერაში ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა გახლდათ. მერე კი... მოგეხსენებათ, ზიდანი „იუვენტუსმა“ შეიძინა და მან საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

„ზიდანს მაშინ ვაკვირდებოდი, როცა იგი „ბორდოში“ ირიცხებოდა. მსურდა, გუნდში ისეთი ფეხბურთელი მიმეწვია, რომელსაც მარჯვენა ფლანგზე გავამწესებდი. მაშინ დევიდ ბექემი ძალიან ახალგაზრდა იყო და მეც გადავწყვიტე, ზინედინი მეყიდა, თუმცა რატომღაც ვერ შევთანხმდით. მერე კი მისი შეძენა საერთოდ გადავიფიქრე“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

შოტლანდიელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონისთვის საუკეთესო პოზიცია მოედნის შუაგულში თამაშია — ფორვარდების უკან ზიდანი ბრწყინვალეაო. თუმცა ვინ იცის, ფერგიუსონს ძალიან რომ მოესურვებინა და ფრანგი „იუნაიტედში“ გადაეყვანა, იქნებ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. ზიდანს მარჯვენა ფლანგზე ათამაშებდა, მერე დევიდ ბექემიც გამოჩნდებოდა. ინგლისელი ამპლუას შეიცვლიდა, ან შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა... მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია.

**უეფას თასი. პირველი ეტაპი**
**საპასუხო მატჩები. 26 სექტემბერი**

UEFA CUP

***მიუნხენ 1860 (გერმანია)*** 1:0 დრნოვიცე (ჩეხეთი) (0:0)
1:0 კურცი (74)

***გრაცერი (ავსტრია)*** 0:0 კოშიცე (სლოვაკეთი) (3:2)

***ინტერი (სლოვაკეთი)*** 2:1 როდა (ჰოლანდია) (2:0)
1:0 ბაბნიჩი (38), 2:0 ნემეტი (43), 2:1 ჩუტანგი (54)

***უდინეზე (იტალია)*** 2:0 პოლონია (პოლონეთი) (1:0)
1:0 ბერტოტო (32), 2:0 მუცი (90)

***ბორდო (საფრანგეთი)*** 5:1 ლიერსი (ბელგია) (0:0)
1:0, 2:0 პაულეტა (24, 47), 3:0 ფეინდუნო (58), 3:1 კავენსი (61), 4:1 ფეინდუნო (73), 5:1 პაულეტა (90)
ლიერსი: ვან დერ სტრატენი, ლაერემანსი (პიტერი 55), ჰოგვენსი, ვან მეირი, დაემსი, ლეენი (მარკესი 73), სომერსი, კავენსი, შეყილაძე, კლაესი (ვერეტენნიკოვი 65), სმეეტსი
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
8 883 მაყურებელი

***ვიბორგი (დანია)*** 1:0დ.დ.(0:0) ცსკა (რუსეთი) (0:0)
1:0 კაერგაარდი (100)

# სადირინმა აი, ამხელა დაიჭირა



REUTERS

ვიბორგი — ცსკა 1:0. ვიბორგელი ჰაინე ფერნანდესისა და მოსკოველი ევგენი ვარლამოვის (№3) საჰაერო დუელი

**სამშაბათს** უეფას თასის პირველი ეტაპის ექვსი საპასუხო მატჩი შედგა. მათგან ყველაზე დრამატული დანიაში გამართული „ვიბორგი“ — ცსკა აღმოჩნდა, სადაც დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო.

ეს შეხვედრა ვიბორგიდან 50 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ სილკებორგში ჩატარდა, რადგან „ვიბორგის“ კუთვნილი სტადიონი უეფამ დაიწუნა და იქაურებსაც სხვა ქალაქში მოუხდათ თამაში. ბილეთის მინიმალური ფასი 20 დოლარი გახლდათ, თუმც მატჩი ისეთი გამოდგა, კაცს 20 ცენტის გადახდა დაენანებოდა. ეს სანახაობრივი თვალსაზრისით, თორემ დაძაბულობა შეხვედრას წუთით არ დაჰკლებია.

ცსკა-ს საქომაგოდ გაყოლილმა 100-მდე თანამემამულემაც ვერ უშველა. რუსმა გულშემატკივრებმა თამაშამდე სილკებორგში კარგ შესაქცევ ადგილს მიაგნეს, იქვე ტბაზე ითევზავეს, თუმცა ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირიც დაუჯდათ: საათი — 7 დოლარი. მიუხედავად ამისა, ტბის ხელმძღვანელობა თურმე ანკესების გაქირავებას ვერ აუდიოდა. ისე, მოთავზევეთა შორის ცსკა-ს მთავარ მწვრთნელ პაველ სადირინისთვისაც მოუკრავთ თვალი, რომელიც ამ საქმის დიდი მოყვარული ყოფილა.

მატჩზეც ვთქვათ, თუმც სათქმელი არც ისე ბევრია. ძირითად დროში სულ სამი საგოლე მომენტი შეიქმნა: რუსთა სლოვაკი ლეგიონერის, ჰოლის სახიფათოდ დარტყმული ბურთი რიკოშეტის შემდეგ კარს სანტიმეტრებით ასცდა, მასპინძელთაგან კი ჯერ ჰოიერმა დაკარგა შანსი, მერე მეკარესთან პირისპირ გასულმა ნერლუნდმა. ძირითადი დრო, ისევე როგორც მოსკოვში, 0:0 დამთავრდა. დამატებითი დროც დაინიშნა. სწორედ იქ გადაწყდა მატჩის ბედი — ფერნანდესის ჩაწოდებული 96-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა კაერგაარდმა გოლად აქცია. ეს მე-100 წუთზე მოხდა.

დამატებით დროში, ალბათ, „მიუნხენ 1860“-იც ითამაშებდა, მხსნელად კურცი რომ არ მოვლენოდა, რომელმაც ჰესლერის ჩაწოდებულს ზუსტი თავური მოაყოლა. ამ გოლის წყალობით გერმანელებმა შინ 1:0 დაამარცხეს ჩეხური „დრნოვიცე“, არადა, უფრო დიდი ანგარიშით მოგებასაც იმსახურებდნენ. „მიუნხენი“ მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ფრანგულმა „ბორდომ“ ბელგიური „ლიერსი“ 5:1 გაანადგურა, რაშიც მთავარი როლი ჰეთ-თრიქის ავტორმა პაულეტამ შეასრულა. გელა შეყილაძემ 90 წუთი ითამაშა, თუმც ფრანგების წინააღმდეგ ბელგიელთა დაცვა რომ ვერაფერს გახდა, ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს.

„უდინეზემ“ „პოლონიას“ პირველ მატჩში გატანილი ერთი გოლი არ აკმარა, შინ ორი ბურთი შეუგდო და ორი შეხვედრის ჯამში 3:0 სძლია.

**განო ოქრობირიძე**

## დაუმი: მორჩა, მწვრთნელი ვარ

**„ლევერკუზენის“** მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი სამშაბათს ადგა და თქვა: „მორჩა, 2001 წლის 1 ივნისიდან გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ჩავიბარებ. ამ გადაწყვეტილებას ვერავინ და ვერაფერი შემაცვლევინებს“.

ბოლო დროს კრისტოფ დაუმისა და „ლევერკუზენის“ შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა. დაუმსა და მის გუნდს ბოლო მატჩებში განცდილი წარუმატებლობების გამო თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. ამის შესახებ დაწვრილებით შაბათის „სარბიელშიც“ ვწერდით. მას შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა. დაუმი კრიტიკამ იმ ზომამდე მიიყვანა, შესაძლოა, ნაკრებზე უარი ვთქვაო, განაცხადა. მასმედიასაც მეტი რა უნდოდა — სხვა თემა ბოლო დროს გერმანულ ფეხბურთში აღარც ყოფილა.

იქაური ფეხბურთის ხელმძღვანელობამაც ცოტა ხანს იცადა, მერე კი, რომ დარწმუნდა, სიტუაცია არ ცხრებოდა, საქმეში ჩაერია.

„გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე გააკეთა თავისი არჩევანი, როცა დაუმს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. ის ფაქტი, რომ ფიოლერის ხელმძღვანელობით გუნდი კარგად ათამაშდა, არაფერს ნიშნავს. კრისტოფის შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება“ — თქვა მარად ყურადღების ცენტრში მყოფმა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც, შეგახსენებთ, „ბაიერნის“ პრეზიდენტობასთან ერთად ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტობასაც ითავსებს.

გერმანელები მარტო სიტყვას არ დასჯერდნენ. დაუმს აქამდე წინასწარ კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, მომავალ კვირაში კი ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებასაც აპირებს. ეს მწვრთნელისთვის თავად ეგიდიუს ბრაუნს, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს შეუთავაზებია.

„ყველაფერი ისე მიდის, როგორც თავიდან დავგეგმეთ. დაუმი ბუნდესნაკრებში მივა და ამაში ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლის. ჯობს, შეწყდეს ქაოსი და რაც უფრო მალე, მით უკეთესი“ — აღნიშნა ბრაუნმა.

დაუმზე „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის წევრმა კარლ-ჰაინც რუმენიგემაც ისაუბრა, თუმც სათქმელი ისე მოკლედ და ლაკონურად გამოხატა, თვით შოთა რუსთაველს შეშურდებოდა. „საუკეთესო კაცი ამ თანამდებობაზე“ — აი, სულ ეს თქვა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანული პრესა მაინც არ ცხრება. „ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა, ყველაფერი წინ არის“ — წერს „ბილდი“.

**განო ოქრობირიძე**

### ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელმა** კილი გონსალესმა „ვალენსიასთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე გაახანგრძლივა. ამ დროისთვის იგი უკვე 32 წლის იქნება. ფეხბურთელმა ესპანური კლუბი ამჯობინა „ფიორენტინასა“ და „ინტერს“, რომელიც მის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას იხდიდა. „სასიხარულოა, რომ კილიმ ჩვენთან მეტხანს დარჩენა ისურვა, მით უმეტეს, მას რამდენიმე წამყვანი კლუბი ეპატიჟებოდა“ — განაცხადა „ვალენსიას“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

**ინგლისელ ფორვარდ სტენ კოლიმორს „ლესტერი“ გაყიდვას უპირებს. „კოლიმორი ძალიან უნდა შეიცვალოს, რომ ოდესმე „ლესტერში“ კიდევ ითამაშოს. ვეჭვობ, ასე მოხდეს“ — განაცხადა გუნდის წარმომადგენელმა. თავად კოლიმორიც უკმაყოფილოა, რომ ბოლო შეხვედრებში სასტარტო შემადგენლობაში არ აყენებენ. შეგახსენებთ, რომ სტენი „ლესტერში“ თებერვალში გადავიდა, მანამდე კი „ასტონ ვილასა“ და „ლივერპულის“ ღირსებას იცავდა.**

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. E ჯგუფი

### იუვენტუსი 0:0 დეპორტივო

**იუვენტუსი:** ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, ბირინდელი (პარამატი 74), დევიდსი, ტაკინარდი (კონტე 60), პესოტო, ზიდანი, ტრეზეგე, ფ. ინძაგი (დელ პიერო 65)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო, რომერო, მაურო სილვა, ფრანი (ფერნანდო 69), სეზარ სამპაიო, სკალონი (ვიქტორი 80), პანდიანი, ტურუ ფლორესი (ემერსონი 57)
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა
**გაძევება:** ზიდანი (68)
**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)
**50 000 მაყურებელი**

**„ზიდანს** წითელი ბარათი უსამართლოდ უჩვენეს. თამაშის დამთავრებამდე საკმაო დრო რჩებოდა და ეს ნიშნავდა, რომ უაღრესად რთული წუთები გველოდა. ზიდანი ძალიან დიდი ფეხბურთელია და მისი არყოფნა ყოველთვის მტკივნეულია. ახლა ის შემდეგ თამაშს გამოტოვებს, მაგრამ რა გაეწყობა" — ეს სიტყვები მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა. მისი გუნდი 22 წუთს კაცნაკლული თამაშობდა. თუმცა, კაცნაკლულობაც არის და–კაცნაკლულობაც, უზიდანოდ „იუვე" დაობლებულს ჰგავდა და ანჩელოტისაც არ გაემტყუნება. ტურინელთა ფრანგი ვარსკვლავი „დეპორტივოს" ბრაზილიელ ემერსონთან უხეშობისთვის გააძევეს.

თავიდან ანჩელოტიმ ალესანდრო დელ პიერო სათადარიგოთა სკამზე დატოვა, მის მაგიერ კი ფრანგი დავიდ ტრეზეგე ათამაშა. გატანის პირველი კარგი შესაძლებლობა მე-16 წუთზე ფილიპო ინძაგის მიეცა, როცა მოწინააღმდეგის საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ფაქტობრივად ცარიელ კართან აღმოჩნდა, მაგრამ სტუმართა მცველმა ნურედინ ნაიბეტმა ივაჟკაცა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

სახიფათო საპასუხო შეტევა დეპორტივოელებმა მაშინ მოახერხეს, როცა თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო — ტურუ ფლორესის დარტყმა ვან დერ სარმა მოიგერია.

თუ საერთო სურათს წარმოვიდგენთ, „იუვენტუსი" უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა, მაგრამ გატანა ვერაფრით მოახერხა. ზიდანის გაძევებამდე სამი წუთით ადრე მინდორზე დელ პიეროც გამოჩნდა. მაგრამ ვერ იზიდანა და ხოსე მოლინას კარიც აუღებელი დარჩა.

ცხადია, ზიდანის გაძევებამ ანჩელოტი ფრიად გააფიცხა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს და ნამატჩევს არც მოწინააღმდეგის შექება დავიწყებია: „ამ საღამოს „დეპორტივომ" ერთხელაც დაამტკიცა, რომ ჩინებული გუნდია. ჩემიანებზე კი ამას ვიტყვი: ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდებული ფეხბურთელები მყავს. პირველ ტაიმში მათ მშვენივრად ითამაშეს, მეორეში ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ეგ არაფერი. „იუვენტუსი" თამაშიდან თამაშამდე უმატებს".

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — დეპორტივო 0:0. ზინედინ ზიდანის (მარჯვნივ) გაძევებამ „იუვენტუსს" გვარიანი პრობლემები შეუქმნა

### ჰამბურგი 0:1 პანათინაიკოსი

**0:1** ნასიოპულოსი (37)
**ჰამბურგი:** ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, კინცი (კეტელაერი 46), ტოფტინგი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, კარდოზო (პრეგერი 46), მაჰდავიკია, ბარბარესი, ჰაინცი (იებოა 46)
**მწვრთნელი:** ფრანკ პაგელსდორფი
**პანათინაიკოსი:** კალკიასი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი, ბასინასი, გუმასი, კარაგუნისი, გალეტო (კოლა 46), ლიბეროპულოსი, ნასიოპულოსი (სარიჩი 46)
**მწვრთნელი:** ანგელოს ანასტადიადისი
**მსაჯი:** დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)
**46 000 მაყურებელი**

**ბერძენი** გეორგიოს ნასიოპულოსის გოლმა „პანათინაიკოსს" ჰამბურგში მოაგებინა და ერთ დროს ჩემპიონთა თასის მფლობელი სამი თამაშიდან ერთადერთი ქულით ჯგუფის აუტსაიდერად აქცია. ახლა საკვირველიც იქნება, ჰამბურგელები ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე რომ მოხვდნენ.

მასპინძლებს პირველი ტაიმის შემდეგ არგენტინელი პლეიმეიკერი როდოლფო კარდოზო დააკლდათ: „კარდოზოს მინდვრიდან გასვლამ ყველაფერი აგვირია და დიდი პრობლემები შეგვიქმნა როგორც ნახევარდაცვაში, ასევე საჰაერო ბრძოლებისას" — თქვა ჰამბურგელთა მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა.

ბერძნებს მეორე ბურთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ გეორგიოს კარაგუნისმა ვერ ივარგა. მასპინძელთაგან კი ტონი იებოასა და სერგეი ბარბარესს მართებდათ თავის გამოჩენა, თუმცა ბოლო მომენტში სიზუსტე არ ეყოთ.

„ბერძნებმა გვაჯობეს, მაგრამ სიმართლეს თუ ვიტყვით, მათ ბედმაც გაუღიმა. ასეთ პრინციპულ მატჩებში კი ცოტაოდენი იღბალიც რამდენს ნიშნავს, კარგად მოგეხსენებათ" — უთხრა ჟურნალისტებს მასპინძელთა ნახევარმცველმა ბერნდ ჰოლერბახმა.

მაშ ასე. გუნდებმა პირველი ჯგუფური ეტაპის ზუსტად ნახევარი გაიარეს. „იუვენტუსი" და „დეპორტივო" თანაბარი 5-5 ქულით ლიდერობენ, მაგრამ ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, რადგან ამ ჯგუფში თამაშობს გუნდი, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი — ევროპელ სპეციალისტებს „პანათინაიკოსი" ერთობ მოსწონებიათ.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 0:0 | 2:1 | 24.10 | 6:5 | 5 |
| 2 | დეპორტივო | 18.10 | | 24.10 | 2:1 | 3:2 | 5 |
| 3 | პანათინაიკოსი | 8.11 | 1:1 | | 18.10 | 3:3 | 4 |
| 4 | ჰამბურგი | 4:4 | 8.11 | 0:1 | | 5:7 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. F ჯგუფი

### პარი სენ ჟერმენი 1:0 ბაიერნი

**1:0** ლერუა (90)
**პარი სენ ჟერმენი:** ლეტიზი, ალჟერინო, დეუ, რაბესანდრატანა, მენდი, დალმა, ლუქსენი, ბენარბია (დიუკრო 68), რობერი, ანელკა, კრისტიანი (ლერუა 79)
**მწვრთნელი:** ფილიპ ბერჟერო
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი (სანტა კრუზი 78), პ. ანდერსონი, ტარნატი, ლინკე, ვისინგერი (შტრუნცი 78), სფორცა, ფინკი, შოლი, იანკერი (ელბერი 84), სალიჰამიჯიჩი
**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი
**მსაჯი:** დომენიკო მესინა (იტალია)
**45 000 მაყურებელი**

**მსაჯის** მიერ წამატებული წუთები იწურებოდა, ლორან ლერუამ ბურთი „ბაიერნის" საჯარიმოს მისადგომებთან რომ მიიღო. „მერე აღარაფერი მახსოვს, მეტოქის კარისკენ დავიძარი, გონს რომ მოვედი, თანაგუნდელები გოლს მილოცავდნენ. ყველაფერი წამებში მოხდა" — თქვა ლერუამ მატჩის შემდეგ.

მართალია, ლერუას აღარ ახსოვს, სამაგიეროდ, ვინც ის გოლი ნახა, კარგა ხანს არ დაავიწყდება. ლერუამ მართლაც დიდებულად ითამაშა, გზად ლინკე, ანდერსონი და სფორცა გააბითურა, საჯარიმოში შეჭრილმა კი ბურთს ჭვინტი წაჰკრა და მინდორზე შესვლიდან ათიოდე წუთში მატჩის გმირად იქცა. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ოლივერ კანი, რომელმაც „ბაიერნი" ამ მატჩშიც არაერთხელ იხსნა, არც განძრეულა და ბურთი მისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეგორდა.

შედეგად, „პარი სენ ჟერმენმა" წლეულს საკუთარ მინდორზე ზედიზედ მეშვიდედ მოიგო, „ბაიერნი" კი მიმდინარე სეზონში პირველად დამარცხდა. ლერუას გარღვევამ ტრიბუნაზე მჯდომი ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან პოლ ბელმონდოც ფრიად აღაფრთოვანა.

მიუნხენელები საფრანგეთსაც შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ. გუნდის თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა ლიზარაზუ, კუფური და იერემისი მოისაკლისა, ეფენბერგი და პაულო სერჟიო კი ტრავმის გამო დიდი ხანია, არ თამაშობენ. მკურნალობა ციკლერსაც გაუგრძელდა. ასე რომ, „ბაიერნს" ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით თამაში მოუხდა.

მატჩი პსჟ-ს უპირატესობით დაიწყო. გასულ უქმეებზე გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის სათავეში მოექცა და ჩინებულ გუნებაზე მყოფი თავიდანვე მეტოქის კარზე დაიგეშა. დროდადრო მწვავე შეტევებსაც ახორციელებდა, „ბაიერნი" კი კონტრშეტევების იმედად იყო. გატანის შანსი პირველად ფრანგ ნიკოლა ანელკას მიეცა, მაგრამ ექს-რეალელს ოლივერ კანმა აჯობა. კანმა შემდგომშიც რამდენჯერმე იხსნა თავისიანები გოლისგან (ერთი ბოლოს ლერუას ველარ გაუმკლავდა). ასევე კარგად თამაშობდა მისი ფრანგი კოლეგა, ლიონელ ლეტიზიც, რომელმაც პირველ ნახევარში ჯერ იანკერს აუღო, მერე შოლს.

ანგარიშის გახსნის ყველაზე კარგი შესაძლებლობა „ბაიერნმა" მეორე ტაიმის დებიუტში გაუშვა. თამაში ათი წამის(!) განახლებულიც არ იყო, რომ სალიჰამიჯიჩი მეკარესთან პირისპირ დარჩა. ბოსნიელმა ლეტიზის ერთი შეხებით ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა, გადაუგდო კიდეც, თუმც ოდნავ არაზუსტად მოუვიდა.

შეხვედრის ბოლოს ჰიცფელდმა თამაშის გამწვავება სცადა, ჯერ სანტა კრუზი და შტრუნცი ჩართო თამაშში, მერე ახალმომჯობინებული ელბერიც, თუმც ამან უარყოფითი შედეგი მოუტანა.

„დღეს აუცილებლად უნდა მოგვეგო. საამისოდ ბევრი მოტივაცია გვქონდა. ძალიან კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. პსჟ არასდროს ნებდება, მუდამ ბოლომდე იბრძვის. ახალგაზრდული გუნდი ვართ, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ" — ენაწყლიანი გახლდათ ნამატჩევს ფილიპ ბერჟერო, პსჟ-ს თავკაცი.

სრულიად საპირისპირო ხასიათზე იყო ოტმარ ჰიცფელდი. „ფრეს წარმატებად ჩავთვლიდით, რადგან პსჟ საკმაოდ ძლიერი მეტოქეა და ჩვენი კონკურენტია. ახლა კი მძიმე მდგომარეობაში ვართ, ფეხის დაცდენის უფლება აღარ გვაქვს, ეს შეიძლება ქვეჯგუფში დარჩენის ტოლფასი აღმოჩნდეს" — თქვა მან.

REUTERS პარიზიდან



პარი სენ ჟერმენი — ბაიერნი 1:0. მიუნხენელი ჰასან სალიჰამიჯიჩი (მარჯვნივ) პარიზელ ჯიმი ალჟერინოს გაექცა

### რუსენბორგი 6:1 ჰელსინგბორგი

**1:0, 2:0** ფ. იონსენი (20, 29), **3:0, 4:0** სტრანდი (50, 51), **5:0** ს. იოჰანსენი (64ს.კ.), **6:0** ფ. იონსენი (78), **6:1** პრიკა (91)
**რუსენბორგი:** იამტფალი, ბასმა (ბელსვიკი 82), ბ. იონსენი, ჰოფტუნი, სტენსაასი, ვინსნესი (სტორვიკი 86), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, რ. სტრანდი (კნუტსენი 75)
**მწვრთნელი:** ნილს არნე ეგენი
**ჰელსინგბორგი:** ს. ანდერსონი, ლინდბერგი (კ. ანდერსონი 59), ო. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, ი. იანსონი, უ. იანსონი (ს. იოჰანსენი 35), ეკლუნდი, ბ. იოჰანსენი, ალვარო (პრიკა 70), ჰანსონი
**მწვრთნელი:** ნანე ბერგსტადი
**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
**13 702 მაყურებელი**

**ნორვეგიაში** ორი სკანდინავიური „ბორგის" ბრძოლა სამშაბათს მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდაო, ვიტყოდით, „რუსენბორგი" — „ჰელსინგბორგის" მატჩი საფეხბურთო ანგარიშით რომ დასრულებულიყო. ტრონჰეიმში კი არც ბრძოლა ყოფილა და ნორვეგიელებს არც უბრალოდ „გაუმარჯვიათ". „რუსენბორგმა" სამშაბათს „ჰელსინგბორგს" გადაუარა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ჩემპიონთა ლიგაში არაფერი ესაქმება.

ევროპული კლუბებისთვის ტრონჰეიმში მოგება დაახლოებით ისეთივე ძნელია, როგორიც ქართული გუნდებისთვის „სიონის" ბოლნისში ძლევა. ძალიან ძლიერად თამაშობს „რუსენბორგი" შინ, ისე, რომ ნებისმიერი კლუბის დამარცხება შეუძლია. აკი პსჟ-სთან წაგების შემდეგ „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმაც თქვა, ჩვენი ჯგუფიდან გასვლის ამბავი ბოლო ტურში ნორვეგიელებთან საგარეო მატჩის შემდეგ გაირკვევაო.

„რუსენბორგს" საკუთარ მინდორზე გრანდები დაუმარცხებია და „ჰელსინგბორგს" რას უზამდა? სულ ბდღვირი ადინა. ფროდე იონსენის ჰეთ-თრიქს როარ სტრანდმა დუბლი დაუმატა.

თავი „ჰელსინგბორგის" ნორვეგიელმა თავდამსხმელმა სტიგ იოჰანსენმაც გამოიჩინა, რომელმაც ნებსით და უნებლიეთ საკუთარ (შვედთა) კარში შეაგდო ბურთი. „მამლუქისა" არ იყოს, იქნებ ნორვეგიელების მოსყიდულიაო, ალბათ დაეჭვდებოდნენ შვედები, იოჰანსონის გოლი რომ გადამწყვეტი ყოფილიყო, მაგრამ 64-ე წუთზე ნორვეგიელმა ლეგიონერმა 0:5 გახადა.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში „ჰელსინგბორგმა" ერთი ბურთი გაქვითა ანუ „პრესტიჟის" გოლი შეაგდო. ისე, რა პრესტიჟზეა ლაპარაკი...

**მანო ოქრობირიძე**

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | | 3:1 | 8.11 | 6:1 | 10:5 | 6 |
| 2 | პსჟ | 24.10 | | 1:0 | 4:1 | 6:4 | 6 |
| 3 | ბაიერნი | 3:1 | 18.10 | | 24.10 | 6:3 | 6 |
| 4 | ჰელსინგბორგი | 18.10 | 8.11 | 1:3 | | 3:13 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. G ჯგუფი

### პსვ ეინდჰოვენი 3:1 მანჩესტერი

**0:1 სქოულზი (33), 1:1 ბუმა (17), 2:1 ვან ბომელი (38), 3:1 კეჟმანი (64)**
**პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი, ვან დერ დულენი (ლუსიუსი 77), ბუმა (რომედალი 80), კეჟმანი (კოლკა 84), ბრუგინკი**
**მწვრთნელი: ერიკ გერეტსი**
**მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ბრაუნი, გ. ნევილი, სილვესტრი (გიგზი 70), ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (უოლვორკი 70), ბათი, გრინინგი (ბექემი 70), იორკი, სოლსკიაერი**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**
**33 500 მაყურებელი**

**ფერგიუსონი** და გემბლინგი, სერ ალექსი და გემბლერობა. გუშინდელ ინგლისურ გაზეთებში სახელგანთქმული სქოთი მწვრთნელის სახელი, გვარი თუ წოდება სწორედ ამ სიტყვასთან მჭიდრო კავშირში მოიხსენიებოდა.

არადა, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნაური „გემბლერობა" ბოლო წლების საქართველოს ისეთივე რეალობაა, როგორც სილატაკე თუ კორუფცია — ის აზარტული თამაშების უზომო სიყვარულს ნიშნავს და მედიკოსთა თქმით, ლოთობასა და ნარკომანობაზე ძნელად მოსარჩენი სენია.

და რა შუაშია აქ ფერგიუსონი? ნუ შეშფოთდებით: განვითარებული საფეხბურთო ქვეყნების მწვრთნელები ჯერ იმ დონეზე ვერ მისულან, თან იკეთონ და ღამეები კაზინოებში ატარონ, თან ტაქტიკის სრულყოფაზე იფიქრონ. უბრალოდ, ეინდჰოვენში „იუნაიტედის" მწვრთნელმა გარისკა — მინიმალური ფსონით მაქსიმუმის მოგება სცადა და გემბლერთა უმრავლესობის დარად ნოლზე (ქულა გვაქვს მხედველობაში) დაჯდა.

„ეინდჰოვენის" მარადწვერა მწვრთნელი ერიკ გერეტსი, თურმე, ხშირად ამბობდა — „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ შემცვლელებად არიან, იმათაც კი დიდი სიამოვნებით ჩავრიცხავდი ჩემს გუნდშიო. სამშაბათის მატჩის მერე ჰოლანდიელთა ბელგიელმა მწვრთნელმა იხუმრა — რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემთვის საოცნებო ფეხბურთელთა სიაში ბექემი, გიგზი, კოული და შერინგემიც აღმოჩნდებოდნენო.

დიახ, ტრავმირებულ იაპ სტამსა და ფაბიენ ბარტეზს ალექს ფერგიუსონმა ძირითადის ოთხი კაციც მიაყოლა და ეინდჰოვენის „ფილიპსის" სტადიონზე შეკრებილთ ექსპერიმენტალური შემადგენლობა წარუდგინა. და თუ თავდამსხმელთა ერთი წყვილის მეორეთი შეცვლა „იუნაიტედს" აქამდეც დაჭაშნიკებული ჰქონდა, უბექემოდ და უგიგზოდ ბოლო ხუთ სეზონში ალბათ მეორედ ან მესამედ თამაშობდა.

...უჩინარმა კრუპიემ, როგორც წესია, თავიდან ფერგიუსონი წაახალისა — მესამე წუთზევე სოლსკიაერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სქოულზმა გამოიყენა. ყველაფერი კარგად მიდის, ალბათ გაიფიქრა სერ ალექსმა და... როცა ჯიბეები მოიჩხრიკა და დანაზოგი (ბექემი და გიგზი) მოედანზე შეუშვა, ანგარიში უკვე 1:3 იყო.

მოკლედ, ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერა ანუ სამშაბათს ლიგაში სამი ქულის მოპოვება და „არსენალთან" საკვირაო ბრძოლის წინ ხალხის დასვენება თვით ფერგიუსონისთვისაც კი შეუძლებელი გამოდგა.

ეს, ცხადია, კიდევ უფრო ზრდის... ქართული ხალხური ფოლკლორის ავტორიტეტს.



REUTERS ფოტომატიანედან

თითქმის უკომენტაროდ: რაიმონდ ვან დერ გოუ „ფილიპსზე"

### დინამო 4:0 ანდერლეხტი

**1:0 გუსინი (52), 2:0 შაცკიხი (80), 3:0, 4:0 დემეტრაძე (89, 90)**
**დინამო: შოვკოვსკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ქალაძე (კუზმიჩევი 64), ბელკევიჩი, შაცკიხი, დემეტრაძე, გუსინი, ფიოდოროვი (ბოდნარი 47), ნესმაჩნი**
**მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი**
**ანდერლეხტი: დე ვილდე, ვანდერეგე, დე ბოეკი (სტოიკა 59), სტალენსი, გოორი (იულა 79), კოლერი, დეედენი, ბასეჯიო, რაძინსკი, ვან დიემენი, კრასონი (იაშჩუკი 62)**
**მწვრთნელი: ემე ანტუნესი**
**მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)**
**35 000 მაყურებელი**

36 წლის ფილიპ დე ვილდე სამშაბათს კვლავ ამოივსო. ამჯერად კიევში, თუმცა პირველი ტაიმის მერე „ანდერლეხტის" კარი ხელუხლებელი იყო. ეგ კი არა, საწყის 45 წუთში დაწინაურების უკეთესი შანსები სწორედ დე ვილდეს თანაგუნდელებს გააჩნდათ, მაგრამ ძელს გარტყმული ბურთის გარდა ვერას გამორჩნენ.

და დაისაჯნენ, თან სასტიკად. 52-ე წუთზე გუსინმა სტუმართა კარის დამცავი საცობი ამოაგდო და ბელგიელთა კარიც გოლების ნიაღვარმა წალეკა. თუმცა არა — 1:0-ზეც გაიბრძოლეს კოლერმა და მისმა პარტნიორებმა, ორი მეტად სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ იგივე მოსავალი მოიმკეს, რაც პირველ ტაიმში. კიეველებმა კი მატჩის ბოლო ათ წუთში კიდევ სამი გოლი შეაგდეს, აქედან ორი იუბილარი გიორგი დემეტრაძის უზადო დარტყმებით: ჩვენებურმა ჯერ მეკარე და მცველი დააწვინა და ისე იხეირა, წუთში კი ბრიუსელელთა საჯარიმოში ციბრუტივით დატრიალდა და ეს მანევრიც გოლით დააგვირგვინა. მართალია, „დინამო" ქართველის გოლების გარეშეც მოიპოვებდა სამ ქულას, მაგრამ ნაღვაწს ნურც დემეს დავუკარგავთ — სწორედ მისი დუბლის წყალობით გაიუმჯობესეს კიეველებმა ბურთების სხვაობა და სატურნირო ცხრილში თვით „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუსწრეს.


REUTERS ფოტომატიანედან

დინამო — ანდერლეხტი 4:0. სტუმართა ჩეხი კოლერი და ფიოდოროვი (№17)

**გიგა ძოწახიძე**

ინტერვიუ იუბილარ დემეტრაძესთან:
15 მილიონიანს ქვეყნის პირველი ქალი „თბილისოს" უმღერის
იხილეთ 8 გვერდი

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პსვ | | 2:1 | 3:1 | 8.11 | 5:2 | 6 |
| 2 | დინამო | 24.10 | | 0:0 | 4:0 | 5:2 | 4 |
| 3 | მანჩესტერი | 18.10 | 8.11 | | 5:1 | 6:4 | 4 |
| 4 | ანდერლეხტი | 1:0 | 18.10 | 24.10 | | 2:9 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. H ჯგუფი

### ლიდსი 6:0 ბეშიქთაში

**1:0 ბოიერი (7), 2:0 ვიდუკა (12), 3:0 მატეო (22), 4:0 ბაკე (65), 5:0 ჰაკერბი (90), 6:0 ბოიერი (90)**
**ლიდსი: მარტინი, კელი, რადებე, მილსი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დბკური (მაკფაილი 75), მატეო, ვიდუკა, სმიტი (ჰაკერბი 81)**
**მწვრთნელი: დევიდ ოლირი**
**ბეშიქთაში: შორუნმუ, ხლესტოვი, ბოზკურტი, ერმანი, ნიჰათი, ტაიფური, კარჰანი, იბრაჰიმი, მიუნხი, დურსუნი, ნუმა (ულუსალი 72)**
**მწვრთნელი: ნევიო სკალა**
**მსაჯი: მელო პერეირა (პორტუგალია)**
**34 485 მაყურებელი**

**მატჩის** მიმოხილვა უცნაური განცხადებით უნდა დავიწყოთ: „ბეშიქთაშმა" დევიდ ოლირი მოატყუა! არ გჯერათ? მაშინ თავად ირლანდიელ მწვრთნელს მოუსმინეთ: „არ დავმალავ, „ბეშიქთაშის" მეშინოდა. მისი „ბარსელონასთან" თამაში ვნახე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ურთულესი მატჩი გველოდა. ახლა სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მოვტყუვდი". ვინ დარჩა მოტყუებული და შერცხვენილი „ელანდ როუდზე", გამოჩნდაო — ნიშნის მოგებით მიპასუხებთ და მართალიც იქნებით, ამიტომ ნევიო სკალას ასეთ სიტყვებს ვათქმევინებ: „იგივე დაგვემართა, რაც „ლიდსს" ორი კვირის წინ „ბარსელონასთან".

ჯერ გათამაშების ცხრილს ჩახედეთ შენ და ნევიო სკალამ და ვის რა დაემართა, მერე თქვითო — არ დამრჩებით ვალში. რა ვქნა, არ მინდოდა წაქცეული „ბეშიქთაშისთვის" წიხლის მიყოლება და მათ სახეიროდაც ვცდილობ, რამე ვთქვა. თუმცა ვატყობ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა და „ლიდსის" მხარეს გადავალ, სადაც უფრო მეტი ქომაგი მეგულება.

„ბევრი რამ გავაკეთეთ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. პირველ ტურში „მილანს" ვუგებდით, მაგრამ ოთხი გოლი გავატანინეთ. მსგავს შეცდომას აღარ დავუშვებთ, რაც „ბარსელონასთან" თამაშმაც დაადასტურა" — ეს სიტყვები ნევიო სკალამ ზუსტად ერთი კვირის წინ თქვა. „ჩვენი ფეხბურთელები მოედანზე თითქოს არც იყვნენ. გამოუცდელობით წავაგეთ" — აღიარა მანვე „ელანდ როუდზე" კრახის შემდეგ. აკი, „მილანმა" ჭკუა გვასწავლაო. სენიორ სკალას რომელ გამონათქვამს დავუჯეროთ? ალბათ, მეორეს და აქვე სინანულით აღვნიშნოთ, რომ თურქთა დამრიგებელს თავისი ნათქვამი ერთ კვირაში დავიწყებია.

ლიდსელებს „ბილობილი" არ სჭირდებათ. გაზაფხულზე სტამბოლში დაღვრილი სისხლი არ დავიწყებიათ და ჯავრი იყარეს.

საერთოდ კი რა შეიძლება ითქვას თამაშზე, რომელიც 6:0 დასრულდა? ალბათ, ბევრი არაფრის. ექვსივე გოლის აღწერას ვერ შევუდგებით, ადგილი არ გვეყოფა. „ბეშიქთაშს" ერთი ხეირიანი მომენტი რაა, ისიც არ შეუქმნია, ხოლო მეკარე იკე შორინმუ ბოლოს უკვე სიმწრით იცინოდა. აქ კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

დევიდ ოლირი: „ვინმეს რომ ეთქვა, სამი ტურის შემდეგ ექვსი ქულით ლიდერი იქნებითო, ძნელად დავიჯერებდი. არადა, ასეა — ფანტასტიკური შედეგი გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჯგუფიდან გასვლის გარანტიაზე საუბარი ნაადრევია. არ გამოვრიცხავ, რომ ბურთების შეფარდების დათვლაც მოგვიხდეს. თუ ასე მოხდა, დღეს გატანილი ექვსი უპასუხო გოლი დიდ სამსახურს გაგვიწევს".

### ბარსელონა 0:2 მილანი

**0:1 კოკო (45), 0:2 ბირჰოფი (71)**
**ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი, აბელარდო (დანი 79), ფ. დე ბური, სერხი, კოკუ, ხერარდი (ოვერმარსი 63), სიმაო, დე ლა პენია (ლუის ენრიკე 46), რივალდო, კლუივერტი**
**მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი**
**მილანი: დიდა, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო (გული 90), ალბერტინი, ჯუნტი, კოკო, ამბროზინი (ჰელვეგი 84), შევჩენკო, ბირჰოფი (კომანდინი 75)**
**მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი**
**მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)**
**90 000 მაყურებელი**

**თუ** გგონიათ, რომ „ბარსელონას" იგივე დაემართება, რაც წინა სეზონში „მილანს", ანუ ჯგუფში ჩარჩება, ლორენს სერა ფერერს მოუსმინეთ: „გამორიცხულია".

თუ გგონიათ, რომ „მილანი" კატალონიელებს შინაც დაამარცხებს, ისევ სერა ფერერს მიუგდეთ ყური: „სან სიროზე" უფრო თავისუფლად ვითამაშებთ".

თუ გგონიათ, რომ „მილანმა" „ბარსელონას" დამსახურებულად მოუგო, სერა ფერერს ამაზეც აქვს პასუხი: „მილანელებს მთელი პირველი ტაიმი ერთი წესიერი მომენტიც არ შეუქმნიათ. არადა, 0:1 წავაგეთ. შესვენების შემდეგ სულ ორჯერ შეგვიტიეს სახიფათოდ და მეორე გოლიც შეგვიგდეს. აშკარად ბედი არ გვწყალობდა".

თამაში თითქოს საინტერესოდ დაიწყო. ბურთი მოედნის შუაგულში თითქმის არ გაჩერებულა. მალე სიმაოს ჩაწოდებულს დიდას კარის სიახლოვეს მყოფმა პატრიკ კლუივერტმა უხეიროდ წაარტყა ფეხი — არადა, ანგარიშის გახსნის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ... ზემოთ სიტყვა „თითქოს" შემთხვევით არ გვიხსენებია. თუ საინტერესოში მეტოქეთა მრისხანე სახელებს, სწრაფ ტემპს და „კამპ ნოუზე" არსებულ დაძაბულ გარემოს ვგულისხმობთ, მატჩი მართლაც საინტერესოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ. მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ამ სიტყვაში მრავალფეროვან კომბინაციებს, მოთამაშეთა უზადო ტექნიკას და სახიფათო იერიშების სიმრავლეს ვიგულისხმებთ. და რა ვნახეთ? ბარსელონელთა გაუთავებელი ჩაწოდებები (ისეთივე უსარგებლო, როგორიც ჩემპიონთა ლიგის წინა ნახევარფინალში „ვალენსიასთან"), ჯერაც ფორმაში შეუსვლელი ლუის ენრიკეს დარტყმა, როცა მეკარის გარდა არავინ ეღობებოდა და მაინცდამაინც მას მოარტყა. აქეთ ჩრდილში მყოფი შევჩენკო და ოლივერ ბირჰოფი, რიშარ დუტრუელთან პირისპირ გასულმა დამწყები ფეხბურთელივით რომ დაასრულა შეტევა. ამას დავუმატოთ ფრანჩესკო კოკოსა და იმავე ბირჰოფის გამარჯვების მომტანი თავურები და კომანდინის ძელი — სულ ხუთიოდე კარგი მომენტი, რაც „ბარსელონა" — „მილანისთვის" ძალიან ცოტაა.

ოჰ, ოჰ, რა კმაყოფილი იყო ალბერტო ძაკერონი: „მილანის" დაცვის გამრღვევი გუნდი არსად მეგულება. ბიჭებმა დიდებულად ითამაშეს, რაშიც მატჩამდეც დარწმუნებული ვიყავი. ისე, პირველი ტაიმი ჩვენს სასარგებლოდ რომ დასრულდა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო — თავს ბრწყინვალედ ვიცავდით, შეტევაში კი ბევრი მართლაც არაფერი გაგვიკეთებია".


REUTERS ფოტომატიანედან

ბარსელონა — მილანი 0:2. მილანელი ჯენარო გატუზო (№8) და ბარსელონელი ლუის ენრიკე

**გიორგი დარჯანია**

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიდსი | | 1:0 | 6:0 | 24.10 | 7:4 | 6 |
| 2 | მილანი | 8.11 | | 4:1 | 18.10 | 6:2 | 6 |
| 3 | ბეშიქთაში | 18.10 | 24.10 | | 3:0 | 4:10 | 3 |
| 4 | ბარსელონა | 4:0 | 0:2 | 8.11 | | 4:5 | 3 |




გიორგი ქინქლაძის გოლმა დერბელი ქომაგები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა

# ქართული ცეკვა და ზღაპარი

**„ივერდონი“** აიკლეს ქართველებმა. წინა კვირას ხომ არაუელმა ლევან ხომერიკმა სამი გაუტანა და ახლა ციურიხელმა გოჩა ჯამარაულმაც არ დაინდო, ორჯერ შეუგდო და მისმა გუნდმაც სტუმრებს 5:0 მოუგო. განსაკუთრებით ლამაზი გოჩას მეორე გოლი ყოფილა. ქართველმა მაღალი ბურთი მკერდით მოათვინიერა და მიწაზე დაუშვებლად პირდაპირ ცხრიანში დაარტყა. შვეიცარიელებმა ამას „ზღაპრული გოლი“ უწოდეს. ჩვენი კოლეგები სინანულით აღნიშნავენ, რაოდენ დასანანია, რომ ეს სილამაზე ოდენ 2 100 მაყურებელმა იხილაო.

ლევან ხომერიკსაც ისევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ პენალტი „სერვეტის“ მეკარემ აუღო.

ინგლისურ პრემიერლიგაში ძველებურად გაიბრწყინა დერბელმა ქინქლაძემ. გიომ სეზონში პირველი ბურთი გაიტანა და თანაც როგორი: „ქინქლაძემ „ლიდსის“ ვარსკვლავი იან ჰარტი თავისი ფინტებით გააცოფა, ცეკვით აუარა გვერდი და შემდეგ ნაიჯელ მარტინიც დაამწუხრა“ — ეს ინგლისელების კომენტარია. „დერბის“ მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა კი ქინქლაძის ნამოქმედარს სუპერგოლი უწოდა. საინტერესოა, რომ ამ მომენტისთვის „დერბი“ 0:1 აგებდა და ამდენად, ქინქლაძის გოლი არა მარტო ეფექტური, არამედ მნიშვნელოვანიც გამოდგა.

თამაში ასევე დამთავრდა 1:1. „დერბისთვის“ კი, რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, ყოველი ქულა ნანატრია.

თემურ ქეცბაიამ „ნორვიჩთან“ მთელი მატჩი ითამაშა, მისმა „ვულვზმა“ კი შინ 4:0 მოიგო და სატურნირო ცხრილში ხუთი ადგილით წაიწია.

ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ თემურმა „მგლების“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ თავად არ გაუტანია, გუნდისთვის ერთობ სასარგებლოდ გაისარჯა. შეგახსენებთ, წინა ტურში უქცბაიოდ მოთამაშე „ვულვერჰემპტონს“ „უიმბლდონთან“ ძალიან გაუჭირდა.

მეზობელ შოტლანდიაში ნემსაძის „დანდიმ“ 0:1 წააგო ლიდერ „სელტიკთან“. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მინდორზე 64 წუთი დაჰყო. „დანდი“ კი ცხრა თამაშის მერე 12 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ახლა ჩვენს „გერმანელებზეც“ ვთქვათ. „ფრაიბურგი“ „ოლიმპიაშტადიონზე“ „მიუნხენს“ ეწვია და დამთავრებამდე 15 წუთით ადრე 1:0 იგებდა მაგრამ საბოლოოდ 1:3 წააგო...

იაშვილმა და კობიაშვილმა მატჩი სრულად ითამაშეს, ცქიტიშვილი კი მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ბოლოსკენ ვაისჰაუპტით შეცვალა. „ფრაიბურგის“ ერთადერთი გოლი, რომელიც მიულერმა გაიტანა სწორედ ცქიტიშვილის კუთხურს მოჰყვა. ორჯერ კარგ სიტუაციაში აღმოჩნდა იაშვილიც, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა. ეს იყო „ფრაიბურგის“ პირველი მარცხი წლევანდელ სეზონში.

არჩილ არველაძის „კიოლნმა“ შინ ვერაფერი მოუხერხა ჩინებულად მოთამაშე „ბაიერნს“, 1:2 წააგო და ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. კვლავ უგოლოდ დატოვა მინდორი არჩილმა. ეტყობა თამაში არ გამოუვიდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გერმანელი კოლეგები მასზე არაფერს წერენ.

არჩილის ტყუპისცალი შოთა „როზენდალთან“ მატჩში მინდორზე არ გამოჩენილა. შეგახსენებთ, წინა ტურში მან ტრავმა მიიღო.

ბელგიაში გელა შეყილაძე „ანდერლეხტს“ ეომა და ისე მოინდომა, რომ ზედმეტიც მოუვიდა და ორი ყვითლის გამო მეორე ტაიმის შუაში მოედნის ნაადრევად დატოვებაც მოუხდა. მისმა „ლიერსმა“ კი 2:5 წააგო.

რუსეთში ჩვენებურთათვის არცთუ გამოსარჩევი ტური ჩატარდა. ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ 0:3 წააგო მოსკოვისვე „ტორპედოსთან“ და ჩემპიონობისათვის, ალბათ „სპარტაკს“ ველარ შეეტოქება. ზაზას თავი არაფრით გამოუჩენია. საინტერესოა, რომ ტორპედოს 29 ივლისის შემდეგ აღარ მოეგო. უფრო მეტიც, იმ წელიწადნახევრის განმავლობაში, რაც ტორპედოელებს ვიტალი შევჩენკო წვრთნის, ეს გუნდის პირველი დიდი ანგარიშით გამარჯვება გახლდათ.

„ალანიამ“ შინ ბახვა თედეევისა და უმცროსი ავერიანოვის გოლებით 2:0 მოუგო „როსტსელმაშს“. ქართველებს არ უთამაშიათ. მხოლოდ მიხეილ აშვეთია იყო სათადარიგოთა შორის. უქართველებო იყო „ურალანი“ — „ზენიტისა“ და „კრილია“ — „ჩერნომორეცის“ მატჩებიც, დავით გვარამაძე და გიორგი დავითნიძე სათადარიგოთა შორის ისხდნენ.

„როტორი“ „ნიჟნი ნოვგოროდის“ შეხვედრაში კი (2:2) ერთი გოლი ზურაბ ფოფხაძემ გაიტანა. ამ დროს მისი გუნდი 0:2 აგებდა და დამთავრებამდე სამი წუთილა რჩებოდა. ფოფხაძისას ერთ წუთში საპუგას გოლიც მიჰყვა და მასპინძელთა გასაკვირად მატჩი ფრედ დამთავრდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი | გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | | |
| *ბუნდესლიგა* | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | იაშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენი 1:3 | 90 | | 6 | 2 | 7 |
| ლევან | კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენი 1:3 | 90 | | 6 | 1 | 7 |
| ლევან | ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენი 1:3 | 78 | საგოლე პასი, შეცვალეს | 5 | 0 | 7 |
| არჩილ | არველაძე | კიოლნი | შ | ბაიერნი 1:2 | 84 | შეცვალეს | 6 | 0 | 15 |
| *მეორე ბუნდესლიგა* | | | | | | | | | |
| მიხეილ | საჯაია | როიტლინგენი | ს | ვალდჰოფი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 7 |
| **ინგლისი** | | | | | | | | | |
| *პრემიერლიგა* | | | | | | | | | |
| გიორგი | ქინქლაძე | დერბი | შ | ლიდსი 1:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 19 |
| რატი | ალექსიძე | ჩელსი | ს | მანჩესტერი 3:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| *პირველი დივიზიონი* | | | | | | | | | |
| თემურ | ქეცბაია | ვულვზი | შ | ნორვიჩი 4:0 | 90 | | 6 | 2 | 13 |
| *ლიგის თასი* | | | | | | | | | |
| გიორგი | ქინქლაძე | დერბი | ს | ვესტ ბრომვიჩი 4:2 | 0 | მწვრთნელმა დაასვენა | 0 | 0 | |
| თემურ | ქეცბაია | ვულვზი | ს | გრიმსბი 2:3 | 90 | | 3 | 0 | |
| **შოტლანდია** | | | | | | | | | |
| *პრემიერლიგა* | | | | | | | | | |
| გიორგი | ნემსაძე | დანდი | შ | დანდი იუნ. 3:0 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| | | დანდი | ს | სელტიკი 0:1 | 64 | შეცვალეს | 8 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| შოთა | არველაძე | აიაქსი | შ | როზენდალი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 4 |
| გოგა | გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 5 |
| **ბელგია** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| გელა | შეყილაძე | ლიერსი | ს | ანდერლეხტი 2:5 | 90 | გააძევეს | 6 | 1 | 8 |
| ლაშა | ჯაკობია | აალსტი | შ | ლუვიე 1:0 | 0 | საქართველოში იმყოფებოდა | 0 | 0 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი დივიზიონი* | | | | | | | | | |
| გოჩა | ჯამარაული | ციურიხი | შ | ივერდონი 5:0 | 90 | 2 გოლი | 11 | 4 | 7 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ივერდონი 5:0 | 70 | შეცვალეს | 10 | 5 | 7 |
| ლევან | ხომერიკი | არაუ | შ | სერვეტი 0:3 | 90 | | 12 | 5 | 10 |
| **რუსეთი** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| ზაზა | ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 0:3 | 90 | | 17 | 3 | 2 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | სპარტაკი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ | აშვეთია | ალანია | შ | როსტსელმაში 2:0 | 0 | სათადარიგო | 16 | 4 | 10 |
| მამუკა | წერეთელი | ალანია | შ | როსტსელმაში 2:0 | 0 | | 15 | 0 | 10 |
| დავით | გვარამაძე | კრილია | შ | ჩერნომორეცი 0:0 | 0 | სათადარიგო | 6 | -11 | 14 |
| ზურაბ | ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | ს | როტორი 2:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 1 | 15 |
| დავით | ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ალანია 0:2 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| გიორგი | დავითნიძე | ურალანი | შ | ზენიტი 0:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 16 |
| *პირველი ლიგა* | | | | | | | | | |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | შ | ვოლგარი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 6 | 0 | 2 |
| | | ტორპედო ზილი | ს | ლიპეცკი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 6 | 0 | 2 |
| გოჩა | გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | რუბინი 0:1 | 90 | | 25 | 4 | 16 |
| | | ჟემჩუჟინა | ს | ვოლგარი 1:2 | 90 | 1 გოლი | 26 | 5 | 17 |
| გიზო | ჯელაძე | ბალტიკა | ს | ლ.პეტერბურგი 2:1 | 90 | | 19 | 0 | 8 |
| | | ბალტიკა | შ | ამკარი 1:0 | 90 | | 20 | 0 | 8 |
| ზვიად | ჯელაძე | კრისტალი | შ | შინიკი 0:1 | 0 | | 19 | 0 | 7 |
| | | კრისტალი | ს | ლ.ჩიტა 0:2 | 90 | | 20 | 0 | 7 |
| ბახვა | ამბიძე | ვოლგარი | ს | ტორპედო ზილი 0:1 | 0 | | 5 | 0 | 14 |
| | | ვოლგარი | შ | ჟემჩუჟინა 2:1 | 0 | | 5 | 0 | 12 |
| **უკრაინა** | | | | | | | | | |
| *თასის მეთექვსმეტედფინალი* | | | | | | | | | |
| კახა | კალაძე | დინამო | ს | სპარტ.სუმი 0:0, 2:4 | 74 | | 1 | 0 | |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | მეტალისტი 2:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| გოჩა | ტრაპაიძე | ტავრია | შ | კრივბასი 3:0 | 66 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | |
| ვასილ | გიგიაძე | ტავრია | შ | კრივბასი 3:0 | 90 | 1 გოლი, 1 საგოლე პასი | 1 | 1 | |
| ავთანდილ | კაპანაძე | ნივა | ს | ჩერკასი 1:0 | 89 | შეცვალეს | 1 | 0 | |
| ტარიელ | კაპანაძე | ნივა | ს | ჩერკასი 1:0 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | |
| კახა | დგებუაძე | ნივა | ს | ჩერკასი 1:0 | 84 | შეცვალეს | 1 | 0 | |
| *თასის მერვედფინალი* | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | ბუკოვინა 1:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | |
| გოჩა | ტრაპაიძე | ტავრია | ს | სპარტაკი სუმი 2:3 | 90 | | 2 | 1 | |
| ვასილ | გიგიაძე | ტავრია | ს | სპარტაკი სუმი 2:3 | 90 | 1 გოლი, პენალტით | 2 | 1 | |
| ავთანდილ | კაპანაძე | ნივა | ს | ცსკა 0:2 | 90 | | 2 | 0 | |
| ტარიელ | კაპანაძე | ნივა | ს | ცსკა 0:2 | 90 | | 2 | 0 | |
| კახა | დგებუაძე | ნივა | ს | ცსკა 0:2 | 55 | შეცვალეს | 2 | 0 | |
| შოთა | ჩომახიძე | ნივა | ს | ცსკა 0:2 | 35 | შეცვალეს | 1 | 0 | |
| **ისრაელი** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| გივი | დიდავა | მ. თელ ავივი | შ | ცაფრირიმი 6:2 | 0 | | 4 | 0 | 9 |
| | | მ. თელ ავივი | ს | აშდოდი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 4 |
| კობა | ნიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | აშდოდი 2:1 | 45 | შეცვალეს | 4 | 1 | 8 |
| | | ი. რიშონი | ს | მ.ჰაიფა 0:3 | 0 | | 4 | 0 | 9 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| მამია | ჯიქია | რუხი | ს | სლასკი 2:3 | 90 | | 2 | 0 | 16 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| ვაჟა | თარხნიშვილი | შერიფი | შ | ტილიგული 2:4 | 90 | | 5 | 0 | 3 |
| დავით | მუჯირი | შერიფი | შ | ტილიგული 2:4 | 90 | 2 გოლი | 5 | 4 | 3 |
| **ლატვია** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:2 | 90 | | 15 | 3 | 1 |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:2 | 90 | | 15 | 4 | 1 |
| დავით | ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 4 | 1 |
| ლევან | კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 3 | 1 |
| ვალერი | გაგუა | პოლიციასი | ს | ლიეპაია 1:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 1 | 8 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | | |
| *უმაღლესი ლიგა* | | | | | | | | | |
| ვარლამ | კილასონია | ტურანი | შ | არაზი 7:2 | 90 | 2 გოლი | 3 | 4 | 6 |
| | | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 0 | | 3 | 4 | 7 |
| გია | კილასონია | ტურანი | შ | არაზი 7:2 | 90 | 1 გოლი | 4 | 3 | 6 |
| | | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 90 | 1 გოლი | 5 | 4 | 7 |
| ჯაბა | ნიკლაური | ტურანი | შ | არაზი 7:2 | 81 | 2 გოლი, შეცვალეს | 4 | 2 | 6 |
| | | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 90 | | 5 | 2 | 7 |
| მამუკა | ხუნდაძე | ქიაფაზი | ს | დინამო 2:0 | 90 | | 4 | 1 | 3 |
| კახაბერ | ძებისაშვილი | ხაზარი | ს | ყარაბაღი 0:3 | 90 | | 4 | 3 | 8 |
| | | ხაზარი | შ | დინამო 1:2 | 40 | შეცვალეს ტრავმის გამო | 5 | 3 | 9 |
| გიორგი | თვალაბეიშვილი | ხაზარი | ს | ყარაბაღი 0:3 | 69 | შეცვალეს | 3 | 0 | 8 |
| | | ხაზარი | შ | დინამო 1:2 | 90 | 1 გოლი პენალტით | 4 | 1 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

27 სექტემბერი

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: მუხრან ვახტანგაძე (85კგ) — მე-3 ადგილი.**

# ვის უნდა ოცი ათასი?

A ვაზაგაშვილს 

B ასანიძეს 

C ჩაჩუას 

D ვახტანგაძეს 

## სწორი პასუხია... ოთხივეს! თანაც დოლარებში

## დანაპირების დროულად გადახდაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა

| ქვეყანათა მონაგარი | | | |
|---|---|---|---|
| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
| აშშ | 29 | 15 | 25 |
| ჩინეთი | 22 | 14 | 15 |
| რუსეთი | 18 | 16 | 21 |
| ავსტრალია | 13 | 21 | 12 |
| საფრანგეთი | 12 | 13 | 8 |
| იტალია | 11 | 6 | 11 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 4 |
| გერმანია | 8 | 11 | 17 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 8 | 5 |
| კორეა | 5 | 7 | 9 |
| იაპონია | 5 | 7 | 4 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 |
| კუბა | 4 | 8 | 2 |
| პოლონეთი | 4 | 4 | 1 |
| შვედეთი | 4 | 3 | 1 |
| უკრაინა | 3 | 7 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 5 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 3 |
| თურქეთი | 3 | 0 | 0 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 10 |
| კანადა | 2 | 1 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 |
| ლიტვა | 2 | 0 | 2 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 |
| ირანი | 2 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 5 | 2 |
| ინდონეზია | 1 | 3 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| მექსიკა | 1 | 2 | 0 |
| ყაზახეთი | 1 | 1 | 0 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 |
| ეთიოპია | 1 | 0 | 2 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 4 | 2 |
| დანია | 0 | 3 | 1 |
| ბელგია | 0 | 2 | 3 |
| იამაიკა | 0 | 2 | 2 |
| ნიგერია | 0 | 2 | 0 |
| ტაივანი | 0 | 1 | 4 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 3 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 2 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 1 |
| კენია | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ტრინიდადი | 0 | 1 | 0 |
| საუდის არაბეთი | 0 | 1 | 0 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 1 | 0 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 4 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 2 |
| ალჟირი | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| სომხეთი | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| ყატარი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| მაროკო | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ბარბადოსი | 0 | 0 | 1 |

## ჩემპიონები და პრიზიორები

### 27 სექტემბერი

#### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

58 კგ
1. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი)
2. კიმ ინ სუბი (კორეა)
3. შენგ ზეტიანი (ჩინეთი)

69 კგ
1. ფილიბერტო ასკუი (კუბა)
2. კაცუჰიკო ნაგატა (იაპონია)
3. ალექსეი გლუშკოვი (რუსეთი)

85 კგ
1. ჰამზა ერლიქაია (თურქეთი)
2. შანდორ ბარდოში (უნგრეთი)
3. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო)

130 კგ
1. რულონ გარდნერი (აშშ)
2. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი)
3. დმიტრი დებელკა (ბელარუსი)

#### ჩოგბურთი

ქალები
1. ვინუს უილიამსი (აშშ)
2. ელენა დემენტიევა (რუსეთი)
3. მონიკა სელეში (აშშ)

ვაჟთა წყვილები
1. სებასტიან ლარუ — დანიელ ნესტორი (კანადა)
2. ტოდ ვუდბრიჯი — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია)
3. ალექს კორეჩა — ალბერტ კოსტა (ესპანეთი)

#### ველორბოლა

ვაჟები. ჯგუფური რბოლა
1. იან ულრიხი (გერმანია)
2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი)
3. ანდრეას კლოდენი (გერმანია)

#### ცხენოსნობა

გაწვრთნა. გუნდური
1. გერმანია
(იზაბელ ვერტი, ნადინ ჩაპელმანი, ულა ზალცბერგი, ალექსანდრა სიმონსი)
2. ჰოლანდია
3. აშშ

#### მძლეოსნობა

ვაჟები. 800 მ
1. ნილს შუმანი (გერმანია)
2. უილსონ კიპკეტერი (დანია)
3. აიშა ჯაბირ საიდ-გუერნი (ალჟირი)

ქალები. ბადრო
1. ელინა ზვერევა (ბელარუსი)
2. ანასტასია კელესიდუ (საბერძნეთი)
3. ირინა იატჩენკო (ბელარუსი)

ვაჟები. 400 მ. თარჯრბენი
1. ანჯელო ტეილორი (აშშ)
2. ჰადი სუან სომაილი (საუდის არაბეთი)
3. ლეველინ ჰერბერტი (სამხრეთ აფრიკა)

ქალები. 400 მ. თარჯრბენი
1. ირინა პრივალოვა (რუსეთი)
2. დეონ ჰემინგსი (იამაიკა)
3. ნუჟა ბიდუანე (მაროკო)

ქალები. 100 მ. თარჯრბენი
1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი)
2. გლორი ალოზიე (ნიგერია)
3. მელისა მორისონი (აშშ)

#### ტაეკვონდო

ქალები. 49 კგ
1. ლორენ ბერნსი (ავსტრალია)
2. ურბია მელენდეს როდრიგესი (კუბა)
3. ჩი შუ ჯუ (ტაივანი)

ვაჟები. 58 კგ
1. მიხალის მურუცოსი (საბერძნეთი)
2. გაბრიელ ესპარსა (ესპანეთი)
3. ჰუანგ ჩიჰ ჰსიუნგი (ტაივანი)

#### ბეისბოლი

1. აშშ
(ბრენტ აბერნატი, ბრედ ვილკერსონი, მაიკ ნეილი, ერნი იანგი, ჯონ კოტონი, მაიკ კინკეიდი, დუგ მინტკევიჩი, პატ ბორდერსი, ადამ ევერეტი, ბენ შიტსი, შონ ბერაფსი, მარკუს იენსენი, კურტ ეინსვორთი, ჯონ როჩი, როი ოსვალტი, ენტონი სანდერსი, ბობი შიეი, ტოდ უილიამსი, ტიმ იანგი, რაიან ფრენკლინი, კრის ჯორჯი, რიკ კრივდა, შეინ ჰიმსი, ტრევის დოკინსი)
2. კუბა
3. კორეა

# დღის გმირი

27 სექტემბერი

## მუხრან ვახტანგაძე

### საქართველო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



გეოგრაფია ფართოვდება. ქართული ოლიმპიზმის „ბრინჯაოს ხანაში“ ბათუმიც შევიდა — ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძე მეთხე ქართველია, რომელმაც სიდნეი 2000-ის კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე აიბიჯა.

187-სანტიმეტრის 85-კილოგრამიან ათლეტს კარიერის უდიდესი წამი დაუდგა. დიდ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატება 27 წლის ვახტანგაძეს აქამდე არ ჰქონია. მისი საუკეთესო შედეგი 1998 წელს ანკარაში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი გახლდათ და ამიტომაც ოლიმპიური ბრინჯაო მისთვის საკუთარი თავის ძლევა იყო, ეს კი გმირობაა.

ორი შვილის მამამ სიდნეიში გამგზავრების წინ „სარბიელის“ კორესპენდენტს მოკრძალებით უთხრა, ფავორიტები ჩემი თანაგუნდელები არიან, ჩემთან ინტერვიუს მათთან საუბარი გიჯობთო.

მუხრან, ახლა იცოდეთ, ქართველ გულშემატკივარს თქვენი ინტერვიუ აინტერესებს. ასე, რომ...

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**58 კგ**

ფინალი

არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი) — კიმ ინ სუბი (კორეა) წმინდა გამარჯვება

მესამე ადგილისთვის

შენგ ზეტიანი (ჩინეთი) — რიფატ ილდიზი (გერმანია) 2:0

**69 კგ**

ფინალი

ფილიბერტო ასკუი (კუბა) — კაცუჰიკო ნაგატა (იაპონია) 11:0

მესამე ადგილისთვის

ალექსეი გლუშკოვი (რუსეთი) — ვალერი ნიკიტინი (ესტონეთი) 6:0

**85 კგ**

ფინალი

ჰამზა ერლიქაია (თურქეთი) — შანდორ ბარდოში (უნგრეთი) 3:3 (მსაჯების გადაწყვეტილებით გაიმარჯვა ერლიქაიამ)

მესამე ადგილისთვის

მუხრან ვახტანგაძე (საქართველო) — ფრიც აანესი (ნორვეგია) 4:1

**130 კგ**

ფინალი

რულონ გარდნერი (აშშ) — ალექსანდრ კარელინი (რუსეთი) 1:0

მესამე ადგილისთვის

დმიტრი დებელკა (ბელარუსი) — იური იევსეიჩიკი (ისრაელი) 3:2



REUTERS სიდნეიდან

ეს პირველად! ალექსანდრ კარელინი (მარჯვნივ) დამარცხდა. ამერიკელმა რულონ გარდნერმა რუსთა დიდ ფალავანს ოლიმპიური ჩემპიონობა წაართვა


## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სიდნეიში მუშაობს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.
თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.
ტელეფონი: (612) 8 11 35 445


# დროშები არის, ჰიმნი გვინდა!

## მუხრან ვახტანგაძის დოპინგის კვალს ვერც ერთი ლაბორატორია ვერ აღმოაჩენს



REUTERS სიდნეიდან

მუხრან ვახტანგაძე (ქვემოთ) „ტრიალით“ ორ ქულას ართმევს ნორვეგიელ ფრიც აანესს

დასაწყისი პირველ გვერდზე

„აღარ უნდა დამთავრდეს ბრინჯაოს ხანა?“ — იკითხა ერთმა და მართალიც იყო. „აღარ გვინდა ბრინჯაო. ასი ოქრო იმას, ვინც ერთ ოქროს აიღებს“ — იხუმრა სხვამ ფრიად სერიოზული გამომეტყველებით. ამასობაში მომხიბლავი ქალბატონი რუსუდან სიხარულიძე სათამაშო კენგურუს არიგებს. გუშინ მოკრივის ხელთათმანიანი და ჩაფხუტიანი ვლადიმერ ჭანტურიას უსახსოვრა, დღეს „მოჭიდავე კენგურუ“ მუხრან ვახტანგაძეს გადასცა.

ვახტანგაძე ერთადერთი ქართველი იყო, ვინც ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ტურნირს ბოლო დღემდე შემორჩა. ჯგუფში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მან ზედიზედ სამი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გამართა. დილით წინა ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანს, ბელარუს ვალერი ცილენტს მოუგო (6:5) და ნახევარფინალში გავიდა. აქ უკვე ატლანტის თამაშების ჩემპიონი (უამრავ სხვა ტიტულს არ ჩამოვთვლი), თურქი ჰამზა ერლიქაია დაუპირისპირდა. ჩვენებური და თურქი შარშან ათენში მსოფლიო ჩემპიონატზე შეხვედრილან და ვახტანგაძეს 3:1 მოუგია: „მაშინ პირველ წრეში ვიჭიდავეთ. ჩემგან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა. აქ საქმე სხვაგვარად წამივიდა. აქტიურად დავიწყე, მაგრამ ჩოქბჯენიდან გამექცა და ქულა იმას მისცეს. ხელის ჩავლება ვერც მოვასწარი, ისეთი ყინიანია, წინ თუ გაუშვი, აღარაფერს დაგითმობს. ეს ვიცოდი და რისკზეც ამიტომ წავედი. წამით დამასწრო, ხელების შეკვრა ვერ მოვასწარი, თორემ ის ორი ქულა ჩემი იქნებოდა... უკანა ტრიალი კარგად გამომდის. ასეთ მეტოქესთან ნახევარ წუთში სამი ქულის „ამოქაჩვა“ ძალზე ძნელია. მით უმეტეს, ოლიმპიადაზე“.

თურქი ფინალში გავიდა, ვახტანგაძემ კი ბრინჯაოს მედლისთვის, უკვე საღამოს, ნორვეგიელ ფრიც აანესთან იჭიდავა. საქართველოს დელეგაცია, ცხადია, კვლავ „საბრძოლო“ შემადგენლობით გამოცხადდა საგამოფენო ცენტრის მეორე პავილიონში — კიდევ ერთი ბრინჯაოს მოპოვების იმედით.

ვახტანგაძე: „მართალია, ნორვეგიელს აქამდე სერიოზული შედეგი არ ჰქონია, მაგრამ წლეულს სამი საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო და ორჯერ დაამარცხა თურქი ერლიქაია, აქ სიდნეიში, პირველ წრეში ისრაელის სახელით მოასპარეზე გოჩა ციციაშვილს აჯობა. კარგი მოჭიდავეა, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა იზრდება. ნახევარფინალში უნგრელთან შემთხვევით წააგო, თორემ ფინალში გავიოდა... მოკლედ, სერიოზული მეტოქე შემხვდა. რაღა დაგიმალოთ, ვნერვიულობდი — ოლიმპიური მედლის ბედი წყდებოდა, ეს კი ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო. თანაც, წამოსვლის წინ ჩემმა ორი წლის გიორგიმ ძალიან მთხოვა — მამა, მედალს ხომ აუცილებლად ჩამომიტანო. მოკლედ, სხვა რა გზა მქონდა. თანაც, ხალიჩაზე გასვლის წინ ჩვენმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა ლადო ასათიანის სამი ისეთი ლექსი წამიკითხა, დოპინგზე მეტად იმოქმედა... ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მე და ჩემმა მწვრთნელმა ჯონი რეხვიაშვილმა მოვილაპარაკეთ. ეგრევე შევუტიე, რათა თუ ილეთი არ გამომივიდოდა, ჩოქბჯენში პირველი ის ჩაეყენებინათ — „ტრიალი“ კარგად გამომდის. მეორე წუთზე ნორვეგიელს ორი ქულა წავართვი და ვირწმუნე, რომ დავამარცხებდი.“

ბოლო, მეექვსე წუთზე იგივე განმეორდა: აანესი პასიურობისთვის ისევ დასაჯეს, ვახტანგაძემ კი „თავისი“ მორიგი ორი ქულა აიღო და გაიმარჯვა — 4:0. ალალია მასზე ოლიმპიური ბრინჯაო. ვახტანგაძის თანაგუნდელები ხუმრობენ: აქამდე ხულოს ჩემპიონობას არ გასცდენია და ეს რა „იკადრა“, სახლში ოლიმპიური მედალი მიაქვსო.

ვახტანგაძე: „წელს ოთხი ნაყოფიერი შეკრება გვქონდა, ამდენივე ტურნირზეც გამოვედი, კარგად მოვემზადე და გულიც მომეცა. ჯგუფურმა შეჯიბრებამ დამარწმუნა, რომ მედლის აღება შეიძლებოდა და ამ შანსს, აბა, ხელიდან როგორ გავუშვებდი. ჩემზე გაცილებით უკეთესი შანსი ჰქონდა გენადი ჩხაიძეს, ისეთ ბიჭებს მოუგო, ფინალის ღირსი იყო. გული მწყდება რომ სხვებსაც არ გაუმართლათ... აკაკი ჩაჩუა დღესაც არაერთხელ ახსენეს, ყველა იმას ამბობს, მსაჯებმა გაყიდეს და ჩემპიონობა წაართვესო.“

დასანანია, რომ მუხრან ვახტანგაძის პირველი მწვრთნელი გოდერძი ბოლქვაძე ვერ მოესწრო თავისი შეგირდის ამ დიდ წარმატებას — ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გულმა უმტყუნა. „ჭიდაობა გოდერძიმ მასწავლა, მან დამაყენა ფეხზე, მამასავით მიპატრონა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, როგორ გაიხარებდა.“

ბეგი დარჩია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში: „აქ წამოსვლამდე ვინმეს რომ ეკითხა, ორ ბრინჯაოზე ყაბულს თუ ხარო, უარს არ ვიტყოდი. მაგრამ ტურნირის მსვლელობისას დავრწმუნდი, რომ მეტიც შეგვეძლო. აი, ამაზე მწყდება გული. მსაჯებზე არაფერს ვიტყვი — ყველამ ყველაფერი ნახა, ეს ვიცოდით და ვემზადებოდით კიდეც. მინდა გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ ჩვენ მოსამზადებელ პერიოდში დიდი შრომა გავწიეთ და ალბათ, შეიძლება ითქვას, კიდეც დაგვიფასდა, ოქროზეც ვფიქრობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. იქნებ ეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მოახერხონ“.

„თავისუფლები“ დღეს იწყებენ: ოთარ თუშიშვილი (63 კგ) პირველ წრეში კარლოს ორტისს (კუბა) შეხვდება, გურამ მჭედლიძე (76 კგ) — არპად რიტერს (უნგრეთი), ელდარ კურტანიძე (97) — რიკარდას პაულიოკონისს (ლიტვა). ხვალ კი პირველი სტარტი აქვს ინგა თავდიშილს (მხატვრული ტანვარჯიში), საღამოს კი დიდი კრივია: ვლადიმერ ჭანტურია (საქართველო) — სულთანახმედ იბრაგიმოვი (რუსეთი).

იქნებ დასრულდეს „ბრინჯაოს ხანა?“

## ცხენოსნობა

გაწვრთნა. გუნდური

1. გერმანია (იზაბელ ვერტი, ნადინ ჩაპელმანი, ულა ზალცბერგი, ალექსანდრა სიმონსი) 5632; 2. ჰოლანდია (ელენ ბონტიე, ანკი ვან გრუნსვენი, არიენ ტეუვისენი, კოვი ვან ბაალენი) 5579; 3. აშშ (სუზან ბლინქსი, რობერტ დოვერი, გიუნტერ სეიდელი, ქრისტინ ტრაურიგი) 5166

## ბალახის ჰოკეი

### ქალები

მეორე ჯგუფური ეტაპი

ავსტრალია 5:1 ჩინეთი

ჰოლანდია 2:1 ესპანეთი

არგენტინა 7:1 ახალი ზელანდია

### ფინალი

29 სექტემბერი

ავსტრალია — არგენტინა

მესამე ადგილისთვის

29 სექტემბერი

ჰოლანდია — ესპანეთი

# ოთხი უიღბლო და ერთი ხნიერი

**ოლიმპიადა** სპეციფიკური შეჯიბრია. მავანი დიდებული სპორტსმენი მთელი სეზონის მანძილზე ბრწყინვალედ გამოდის, იგებს ყველაფერს, რის მოგებაც შეიძლება, გაიხედავ და ოლიმპიადაზე სრულიად მოულოდნელად ჩავარდება და კუთვნილ ადგილს ისეთს უთმობს, ვინც აქამდე მუდამ ჩრდილში იყო. სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ამის მაგალითები წინა დღეებშიც იყო და გუშინ ხომ საერთოდ.

გეილ დივერსი, 100 მეტრზე მოთარჯრბენე, წლევანდელი „ოქროს ლიგის" ლაურეატთაგანი და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი სიდნეიში ნახევარფინალს ვერ გასცდა. ურიგოდ არ მირბოდა, მაგრამ მეოთხე თარჯზე წაიფორხილა და მეხუთეს გადასალახად ძალთა მოკრება ვერ მოასწრო. შემდეგ უგულოდ შეხედა წინგაჭრილთა ზურგებს და ნელა გავიდა ბილიკებიდან. და მას ამგვარი ფათერაკები სულ ოლიმპიადების დროს შემთხვევია: ბარსელონაშიც თარჯთან უმუხთლა ბედმა, ატლანტაში ფინიშს კი უწია, მაგრამ მხოლოდ მეოთხემ. სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ერთხელ მაინც რომ ვერ გახდება ოლიმპიური პრიზიორი, ამას უიღბლობას დავარქმევთ.

დივერსის ჩავარდნით ყაზახმა ოლგა შიშიგინამ ისარგებლა. სხვა საშიში კონკურენტებიც ჰყავდა — ნიგერიელი გლორი ალოზიე ან ამერიკელი მელისა მორისონი, მაგრამ ფინალში მათ მოერია. სტარტი ცუდი ჰქონდა, მერე კი გაქანდა და გაქანდა... შიშიგინა 32 წლისაა, ჰყავს ვაჟი და გუშინ ნახევარფინალში მხოლოდ მესამე იყო, ამიტომ მისი გამარჯვება ერთობ მოულოდნელია, თუმცა მთლად უჩინო ვინმე არ გახლავთ, აზიის თამაშები ორჯერ მოიგო.

მეორე უიღბლო: ალჟირელი ნურედინ მორსელი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი და სამგზის ჩემპიონი, რომელმაც სიდნეიში 1500 მეტრიანი დისტანციის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია. მორსელი ენერგიულად გარბოდა, მაგრამ ზედ ფინალურ მოსახვევთან ამერიკელ ჯეისონ პირას დაეჯახა და თუმც არ დაცემულა, ძვირფასი წამის მეათედები დაკარგა, რომელთაც ფინალში უნდა გაეყვანა. ამ დროს კი იქით მძვინვარებდა მაროკოელი ჰიშამ













**დაცემული ფავორიტები: სვეტლანა მასტერკოვა, სერგეი ბუბკა, ნურედინ მორსელი, გეილ დივერსი**

ელ გურუჯი, ერთიანი სამძლეოსნო რეიტინგ-ლისტის მოთავე, რომელმაც ნახევარფინალში ძალდაუტანებლად მიაღწია გამარჯვებას.

1500 მეტრის თემას მესამე უიღბლოს ამბავი ამოწურავს. რუსმა სვეტლანა მასტერკოვამ კვალიფიკაცია ვერ ირბინა, ქუსლის ტრავმა ჰქონია, შეჯიბრს გამოეთიშა. ისიც ფავორიტი იყო.

მთლად პროგრამა-მაქსიმუმი ვერ შეასრულა გადანიელებულმა კენიელმა, უილსონ კიპკეტერმა. რატომღაც ვფიქრობდით, რომ იგი სიდნეიში 800 მეტრის ოქროს არავის დაუთმობდა. დივერსისა არ იყოს, კიპკეტერმაც წლეულს უხვად მოიგო ტურნირები, მსოფლიოს რეკორდსმენი ხომ არის და საერთოდ, გახსოვთ, რამდენჯერ ვახსენეთ გაზაფხულის მიწურულს მაინც? ოლიმპიადაზე კიპკეტერის საქმეს რიგიანი პირი უჩანდა, საკვალიფიკაციო ეტაპები... ნახევარფინალი, ჩემო ბატონო... ეს ყველაფერი მშვენივრად გაიარა, ფინალში კი გამოჩნდა ბად ფრანკენჰაუზენელი (გერმანიაშია) ყმაწვილი, ნილს შუმანი და ნანატრი ოქრო კიპკეტერს ცხვირწინ ააცალა. ნანატრიო, ვიმეორებთ... კიპკეტერის ჯილდოებით დახუნძლულ კოლექციაში ოლიმპიურ ოქროს ვერ იპოვით. ატლანტაში ვეღარ წავიდა, კენიამ ოლიმპიური სამი წლის წესი გამოიყენა და სხვა ტურნირებში უკვე დანიის სახელით მოასპარეზე თავის ექსშვილს ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება არ დართო. ახლა კი აგერ, რა მოხდა: სამგზის მსოფლიოს ჩემპიონს ევროპის ჩემპიონმა გაუსწრო. გაოგნებულია თავად შუმანი. „ვერცხლზე ან ბრინჯაოზე ვფიქრობდი, ოქროზე არაფრით — ამბობს იგი — ისე, ბოლო კვირები მართლა კაცურად კი ვივარჯიშე, მუხლი არ ჩამიხრია." 800 მეტრის სხვა ფავორიტები, შვეიცარიელი ანდრე ბუჩერი და იტალიელი ანდრეა ლონგო შინ ხელცარიელნი ჩავლენ.

უიღბლოთა სიას უკრაინელი მეჭოკე სერგეი ბუბკა დაასრულებს, მსოფლიოს 17-გზის რეკორდსმენი, ექვსგზის ჩემპიონი, სეულის ოლიმპიადის გამარჯვებული და კიდევ ვინ მოთვლის... მას გუშინ სიდნეიში ტაში დაუკრეს, გაამხნევეს, მაგრამ 5 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე გადებული თამასა სამჯერ ჩამოაგდო და დიდი სპორტიდან მაჟორულ ნოტაზე წასვლა ვერ მოახერხა.

იქნებ მომავალშიც რამე მოიმოქმედოს და კარი გაიჯახუნოს, მაგრამ ოლიმპიადისმაგვარი შანსი აღარ მიეცემა, უკვე 36 წლისაა.

გუშინდელ გახარებულთაგან კი ანჯელო ტეილორს, ირინა პრივალოვასა და ელინა ზვერევას ვახსენებთ. ტეილორმა 400 მეტრზე თარჯრბენი მოიგო, რაც 21 წლის მძლეოსნის პირველი სერიოზული წარმატებაა. იმავე დისტანციაზე მეორე იყო საუდელი ჰადი სუან სომაილი. არაბის ვერცხლი საუდის არაბეთის ოლიმპიურ ისტორიაში პირველი ჯილდოა.

პრივალოვამ იცოდა, რომ 400 მეტრზე კეტი ფრიმენის ძლევა ურთულესი საქმე იყო და ოლიმპიადამდე იმავე სიგრძის თარჯრბენში გონივრულად გადაინაცვლა, სადაც იამაიკელ დეონ ჰემინგსს მოერია და 32 წლის ასაკში პირველი ოლიმპიური ოქრო ჩამოიკიდა კისერზე, თუმცა მისი ხნოვანებით სიდნეიში მხოლოდ სტატისტიკოსები დაინტერესდნენ, ბელარუს ზვერევას 39 წელი (40 წელი 16 ნოემბერს უსრულდება) კი ყველას პირზე ეკერა: ზვერევა უხნესი მანდილოსანი გახდა მძლეოსნობის ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის. მან ბადრო 68 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე გასტყორცნა. წინა ოლიმპიადის ჩემპიონი, გერმანელი ილკე ვილუდა და მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელივე ფრანკა დიჩი ერთობ მეტრნაკლულნი დარჩნენ და შესაბამისად მეშვიდე და მეექვსე ადგილებს დასჯერდნენ (63,16 და 63,18 მ).

დღეს დიდი ამბის მოლოდინში ვართ. 200 მეტრის ქალთა ოქროსთვის სხვებთან ერთად მარიონ ჯონსი და კეტი ფრიმენი ირბენენ. წინასწარი ეტაპები ორივემ გაუჭირვებლად დაძლია.

**დავით გულუა**

ქალები. 100 მ. თარჯრბენი

**1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 12,65; 2. გლორი ალოზიე (ნიგერია) 12,68; 3. მელისა მორისონი (აშშ) 12,76.**

ვაჟები. 800 მ.

**1. ნილს შუმანი (გერმანია) 1.45,08; 2. უილსონ კიპკეტერი (დანია) 1.45,14; 3. აიშა ჯაბირ საიდ-გურნი (ალჟირი) 1.45,16.**

ქალები. ბადრო

**1. ელინა ზვერევა (ბელარუსი) 68,40; 2. ანასტასია კელესიდუ (საბერძნეთი) 65,71; 3. ირინა იატჩენკო (ბელარუსი) 65,20.**

ვაჟები. 400 მ. თარჯრბენი

**1. ანჯელო ტეილორი (აშშ) 47,50; 2. ჰადი სუან სომაილი (საუდის არაბეთი) 47,53; 2. ლეველინ ჰერბერტი (სამხრეთ აფრიკა) 47,81.**

ქალები. 400 მ. თარჯრბენი

**1. ირინა პრივალოვა (რუსეთი) 53,02; 2. დეონ ჰემინგსი (იამაიკა) 53,45; 3. ნუჰა ბიდუანე (მაროკო) 53,57.**

## ჩოგბურთი

### ქალები

ფინალი

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) 6:2, 6:4**

### ვაჟები

ერთეულები.

მატჩი მესამე ადგილისთვის

**არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:7 (7:9), 6:3**

წყვილები

**ფინალი: სებასტიან ლარო და დანიელ ნესტორი (4, კანადა) — ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (1, ავსტრალია) 5:7, 6:3, 6:4, 7:6 (7:2)**

**მატჩი მესამე ადგილისთვის: ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — დევიდ ადამსი და ჯონ-ლაფნი დე ჯაგერი (6, სამხრეთ აფრიკა) 2:6, 6:4, 6:3.**

# შავი ოქრო




**რუსი ელენა დემენტიევა მეორეა, ამერიკელი ვინუს უილიამსი ჩემპიონია, ხოლო მისი თვისტომი მონიკა სელეში მესამეობას დასჯერდა**

**ვინუს უილიამსის** ოქროს ხანა ოქროს მედლითვე დაგვირგვინდა — შავკანიანმა ამერიკელმა, რომელსაც როლან გაროსიდან მოყოლებული არავისთან წაუგია, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ტიტულებს სიდნეის ოლიმპიადისაც შეჰმატა.

„მე იმდენი ვიშრომე ამისთვის... დაუჯერებელია. მახსოვს, პატარაობაში როგორ ვუყურებდი ოლიმპიადას. მამაჩემის ოცნება იყო, ოდესმე მედალი მოგვეგო" — განაცხადა გამარჯვებულმა და თვალები აუცრემლიანდა.

უილიამსის გულშემატკივრები სიდნეის „ჰოუმბუშის" საჩოგბურთო ცენტრის ტრიბუნებზე აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. დედა ორასინი, დები სერენა და ლინდრეა, თანაგუნდელი და ნახევარფინალში გამწარებული მონიკა სელეში ხმამაღალი შეძახილებით ქომაგობდნენ ამერიკელს.

თუმცა ვინუსს არავის დახმარება არ სჭირდებოდა. სხვა თუ არაფერი, მისი მეტოქე, 18 წლის ამომავალი რუსი ვარსკვლავი ელენა დემენტიევა კარიერაში პირველად ასპარეზობდა ტურნირის ფინალში და შესამჩნევად ნერვიულობდა.

უილიამსმა მატჩის დაწყებისთანავე მიზანში რუსის შედარებით სუსტი ბექჰენდი ამოიღო. დემენტიევა ამ მხრიდან დიდი გაჭირვებით უმკლავდებოდა მეტოქის მძლავრ დარტყმებს და ან მალევე ცდებოდა, ან ბურთებს ვინუსისთვის იოლ ლუკმად აბრუნებდა ბადის მეორე მხარეს. ერთ მომენტში რუსს ჩამუხლვაც მოუხდა, რათა ამერიკელის ტყვიასავით მოწოდება აეცილებინა.

დემენტიევა მხოლოდ მეორე სეტის ბოლოს, უიმედოდ ჩამორჩენის შემდეგ გამოცოცხლდა: 2:5-ზე მეტოქეს კიდევ ერთხელ აართვა მოწოდება, როგორც იქნა, საკუთარიც შეინარჩუნა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ამან გარდაუვალი მხოლოდ მცირე ხნით დააყოვნა — მესამე მატჩ-პოინტზე რუსმა ბურთი აუტში გაგზავნა და 55-წუთიანი მატჩიც ამით დასრულდა. 6:2, 6:4 ამერიკელის სასარგებლოდ.

„მასთან თამაში ძალიან ძნელია, ვინუსი წლეულს შესამჩნევად გაძლიერდა — თავი იმართლა დემენტიევამ — ფინალში გასვლამ ძალიან გამახარა, მაგრამ გული დამწყდა, რომ გადამწყვეტ მატჩში ასე ცუდად გავისარჯე. მჯერა, მეტის გაკეთება შემიძლია..."

უილიამსმა კი მოგების შემდეგ ჩვეულად მოილხინა და ტრიბუნებიდან მიწოდებული აშშ-ის დროშა კარგა ხანს აფრიალა: „ამაზე უკეთ თავი მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიგრძნო, თუ სერენასთან ერთად წყვილებშიც ჩემპიონი გავხდები. დიდი სლემის ტურნირების მოგების შესაძლებლობა ხშირად მექნება, ოლიმპიადა კი მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება."

ვაჟთა წყვილების ფინალში მასპინძლებს დიდი იმედგაცრუება ელოდათ — „ვუდების" ლეგენდარულმა წყვილმა, რომელიც უკანასკნელად ასპარეზობდა თანამემამულეების წინაშე, ატლანტაში მოპოვებული ოქროს მედლისთვის სიდნეიში მხოლოდ ვერცხლის დამატება შეძლო.

ტოდ ვუდბრიჯმა და მარკ ვუდფორდმა თავიანთი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის მანძილზე სარეკორდო — 61 ტიტულის (აქედან 11 დიდი სლემის) მოპოვება მოახერხეს და ფრიად შემოსავლიანი თანამშრომლობის დაგვირგვინებას სიდნეიში გამარჯვებით აპირებდნენ. მათდა სამწუხაროდ, კანადელები — დანიელ ნესტორი და სებასტიან ლარო ამის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ.

„ვუდებმა" ფინალი კარგად დაიწყეს, მაგრამ პირველი სეტის მოგების გარდა თანამემამულეები ველარაფრით გაახარეს. კანადელებმა კარგად ისარგებლეს ვუდბრიჯის განერვიულებით, აქედან მოყოლებული მეტოქეებს აშკარად აჯობეს და მოყაყანე ტრიბუნები სწრაფად ჩააჩუმეს.

თითქმის სამსაათიან მატჩს წერტილი უმცროსი „ვუდის" ზედიზედ ორმა ორმაგმა შეცდომამ დაუსვა. 5:7, 6:3, 6:4, 7:6 (7:2) ლაროსა და ნესტორის სასარგებლოდ.

„დღეს ვერცხლი გვერგო, მაგრამ ჩვენი წყვილი ნამდვილი ოქროსგან შედგებოდა" — ცხვირი არ ჩამოუშვა მარკ ვუდფორდმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ 35 წლის გახდა.

**ავთანდილ სვანიძე**

## კრივი

### მეოთხედფინალი

**51 კგ. ვლადიმერ სიდორენკო (უკრაინა) — ანდჟეი რუანი (პოლონეთი) აშკარა უპირატესობა; ვიჯან პონლიდი (ტაილანდი) — მანუელ როდრიგესი (კუბა) 19:8; ჟერომ ტომასი (საფრანგეთი) — ხოსე ნავარო (აშშ) 23:12; ბულატ ჯუმალდინოვი (ყაზახეთი) — ვახტანგ დარჩინიანი (სომხეთი) 15:8**

**57 კგ. კამილ ჯამალუტდინოვი (რუსეთი) — იოსვანი ზამორა (კუბა) 17:12; რიკარდო ხუარესი (აშშ) — სომლუკ კამსინგი (ტაილანდი) აშკარა უპირატესობა; ბეკზატ სატარხანოვი (ყაზახეთი) — რამაზან ფალიანი (თურქეთი) 12:11; ტაჰარ ტამსამანი (მაროკო) — ისრაელ პერესი (არგენტინა) 21:18**

**63,5 კგ. მაჰამადკადიზ აბდულაევი (უზბეკეთი) — სერგეი ბიკოვსკი (ბელარუსი) 9:6; მოჰამედ ალალუ (ალჟირი) — სვენ პარიზი (იტალია) 22:8; რიკარდო უილიამსი (აშშ) — ალექსანდრ ლეონოვი (რუსეთი) 17:12; დიოგენის მარტინესი (კუბა) — სალემ მაქსუდი (ეგვიპტე) დისკვალიფიკაცია**

**71 კგ. ჯერმენ ტეილორი (აშშ) — ადნან ჩატიჩი (გერმანია) 19:14; იერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი) — ხუან ერნანდესი (კუბა) 16:9; მარინ სიმიონი (რუმინეთი) — ფრედერიკ ესტერი (საფრანგეთი) აშკარა უპირატესობა; პორნჩაი ტონგბურანი (ტაილანდი) — შეკალ მოჰამედ აბდელმავგოდი (ეგვიპტე) 15:9**

**81 კგ. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი) — ჯონ დოვი (საფრანგეთი) 13:11; სერგეი მიხაილოვი (უზბეკეთი) — ოლჟას ორაზალიევი (ყაზახეთი) აშკარა უპირატესობა; ანდრიი ფედჩუკი (უკრაინა) — გურჩარან სინგჰი (ინდოეთი) 12:12 (60:42); რუდოლფ კრაი (ჩეხეთი) — ჯეგბეფუმერე ალბერტი (ნიგერია) 8:7**

**+91 კგ. ოდლი ჰარისონი (დიდი ბრიტანეთი) — ოლექსიი მაზიკინი (უკრაინა) 19:9; პაოლო ვიდოცი (იტალია) — სამუელ პეტერი (ნიგერია) 14:3; მუხტარხან დილდაბეკოვი (ყაზახეთი) — ალექსის რუბალკაბა (კუბა) 25:12; რუსტამ საიდოვი (უზბეკეთი) — არტ ბინკოვსკი (კანადა) აშკარა უპირატესობა**

## დღის გმირი

27 სექტემბერი

### რულონ გარდნერი

**აშშ, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**



ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო? გუშინ რუსმა გოლიათმა, 13 წლის მანძილზე ბეჭდაუდებელმა ალექსანდრ კარელინმა წააგო და მისი დამმარცხებელი, 29 წლის ამერიკელი რულონ გარდნერი, ბუნებრივია, „სარბიელის" დღის გმირად იქცა.

1:0, ქულებით ასე გამოხატა გარდნერის მიერ კარელინის ძლევა. ეს გახლდათ მეორე ქულა, რომელიც „რუსმა დათვმა" ბოლო 10 წლის განმავლობაში გასცა.

„გულწრფელად ვამბობ, არ მეგონა მის დამარცხებას თუ შევძლებდი" — თქვა მოგვიანებით ამერიკელმა ვაიომინგის შტატის ქალაქ ეფტონიდან. მას კარელინთან ჭიდაობის სიმწარე ბოლოს ორი წლის წინ ეგემა, როდესაც 0:5 წააგო.

ვატყობთ, ეს მცირე ჩანახატიც მოგებულზე მეტად წაგებულს ეძღვნება, მაგრამ როდესაც ის წაგებული თვით ალექსანდრ კარელინია...

## ფრენბურთი

# არგენტინული სენსაცია და იტალიური თავაზიანობა

**ფრენბურთელმა** კაცებმა სიდნეიში გუშინ გამოავლინეს ის საუკეთესო ოთხეული, რომელიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

ძალიან გაუჭირდა შემდეგ ეტაპზე გასვლა რუსეთის ნაკრებს, რომელმაც კუბის ძლევას ხუთი პარტია და დიდძალი ენერგია შეალია. თავიდან კუნძულელებმა იძალეს და სლავებს პირველი ხელი 25:21 მოუგეს. მერე ჩვენი მეზობლები უკეთ ათამაშდნენ, ზედიზედ ორჯერ მოიგეს (25:23, 25:19). თითქოს ნახევარფინალიც ახლოს იყო, მაგრამ კუბა დანებებას არ აპირებდა და საქმე ტაი-ბრეიკამდეც მიიყვანა, სადაც ისევ რუსეთი გამოდგა უკეთესი (15:13).

ნახევარფინალში რუსეთი არგენტინას შეხვდება, რომელსაც ჯგუფში საკმაოდ იოლად (3:0) აჯობა. პროგნოზების თანახმად, არგენტინის ადგილზე ბრაზილია უნდა ყოფილიყო, რომელმაც ჯგუფური ტურნირის ყველა თამაში მოიგო, მაგრამ სამხრეთამერიკული დერბი სენსაციით დამთავრდა. არგენტინამ, რომელსაც შეჯიბრის ამ ფაზაზეც კი არავინ ელოდა, მეზობელი ოთხ სეტში (17:25, 25:21, 25:19, 27:25) დაამარცხა.

ფინალში გასვლისათვის მებრძოლი მეორე წყვილი იუგოსლავიამ და იტალიამ შეადგინეს. პირველმა მეტად დაძაბულ მატჩში სძლია ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონ ჰოლანდიას. იუგოსლაველები საკმაოდ მალე დაწინაურდნენ 2:1, მაგრამ მეოთხე ხელში კი ძალიან ბევრი ოფლის ღვრა მოუხდათ. ნახევარ საათზე მეტხნიანი ბრძოლა „ტიტების ქვეყანამ" 32:30 მოიგო, თუმცა ბოლოს მაინც წააგო (15:17).

იუგოსლაველებს ახლა იტალიელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, რომლებთანაც ჯგუფში 3:2 წააგეს. აპენინელები ჯერჯერობით ბრწყინვალედ თამაშობენ და ოქროს მედლების მოპოვების უმთავრეს პრეტენდენტებად ითვლებიან. გუშინ მათ საკუთარი ქომაგის მხარდაჭერით გამხნევებული ავსტრალიელები გაანადგურეს. მართალია, ოლიმპიადის მასპინძლებმა ერთი პარტია მოიგეს კიდეც, მაგრამ ეს უფრო იტალიელთა თავაზიანობას შეიძლება მიეწეროს. დანარჩენ სამ ხელში ევროპელებმა დაამტკიცეს, რომ ავსტრალიელებზე ათი თავით მაღლა დგანან — 25:14, 22:25, 25:19, 25:15.

საინტერესოა, რომ ოთხივე ნახევარფინალისტი მეოთხედფინალში B ჯგუფიდან გავიდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეოთხედფინალი**

**რუსეთი 3:2 კუბა**

**იტალია 3:1 ავსტრალია**

**არგენტინა 3:1 ბრაზილია**

**იუგოსლავია 3:2 ჰოლანდია**

29 სექტემბერი

**ნახევარფინალი**

**რუსეთი — არგენტინა**

**იტალია — იუგოსლავია**

## წყალბურთი

**ვაჟები**

**A ჯგუფი**

**ავსტრალია 7:7 ესპანეთი**

**იტალია 13:7 ყაზახეთი**

**რუსეთი 2:5 სლოვაკეთი**

**B ჯგუფი**

**აშშ 9:3 საბერძნეთი**

**ხორვატია 11:7 ჰოლანდია**

**იუგოსლავია 10:9 უნგრეთი**

**მეოთხედფინალი**

29 სექტემბერი

**რუსეთი — აშშ**

**იტალია — უნგრეთი**

**ესპანეთი — ხორვატია**

**ავსტრალია — იუგოსლავია**

## დოპინგი

# სიდნეიში მორიგი რუმინელი ჩავარდა

**მსოფლიოს ჩემპიონი** უროს ტყორცნაში, რუმინელი მიჰაელა მელინტე მორიგი სპორტსმენია, რომელიც გუშინ სიდნეის ოლიმპიადიდან მოიკვეთა. თანამემამულე ანდრეია რადუჩანისგან განსხვავებით, მელინტემ ჯილდოს დაკარგვის სიმწარე არ იგემა, იგი საკვალიფიკაციო შეჯიბრის დაწყებამდე გააფრთხილეს, რომ უროს ტყორცნის უფლება არ ჰქონდა და ერთობ გააკვირვეს — სპორტსმენი ოლიმპიურ სტადიონზე ისე მისულიყო, ამის შესახებ არაფერი იცოდა, და თავის ჯერს უცდიდა. გაირკვა, რომ ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში მელინტესთვის ჩატარებულ დოპინგ-ტესტს დადებითი შედეგი უჩვენებია, რუმინელს ნანდროლონის დონე ვერ აღმოაჩნდა წესრიგში. მელინტეს საქმეს, ისევე როგორც რადუჩანის ოქროს ამბავს, ამ კვირაში გასამართი სპორტის სასამართლოს სხდომა გაარჩევს.

საყურადღებო ფაქტია: ადრე დოპინგისთვის რუმინელი ძალოსნები და ტანმოვარჯიშე დასაჯეს, ახლა მათ მძლეოსანიც მიემატა. ამგვარად ჯერ არც ერთი ქვეყანა არ შერცხვენილა სიდნეიში.

## კალათბურთი

# ევროქალობა გაბითურდა

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**აშშ 58:43 სლოვაკეთი**

**კორეა 68:59 საფრანგეთი**

**ბრაზილია 68:67 რუსეთი**

**ავსტრალია 76:48 პოლონეთი**

**ნახევარფინალი**

29 სექტემბერი

**ბრაზილია — ავსტრალია**

**კორეა — აშშ**



**ბრაზილიის ნახევარფინალში გამყვანი ალესანდრა ოლივეირა რუს ნატალია ზასულსკაიას ბურთს ართმევს**

27 სექტემბერს არცთუ ნათელი ფურცელი ჩაიწერა ევროპის ქალთა კალათბურთის ისტორიაში — ბებერი კონტინენტის მკვიდრი მანდილოსნები მსოფლიოს სხვა გამორჩეულ ნაკრებთა მსხვერპლნი შეიქნენ. ასე რომ, ევროპა ნახევარფინალში ვერც ერთ ნაკრებს ვერ წარადგენს. გასაგები და მოსალოდნელი იყო პოლონელთა და სლოვაკთა მარცხი. მათ მეტოქედ საკმაოდ ძლიერი გუნდები, შესაბამისად მასპინძელი ავსტრალია და ოლიმპიური ჩემპიონი აშშ შეხვდათ, მაგრამ აი, ფრანგთა და რუს ქალთა შერცხვენას, ბევრი არავინ ელოდა.

ფრანგ ქალთა ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია და მას მინიმუმ რომელიმე მედლის მოპოვებას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმც მათი სიდნეური ოდისეა მოულოდნელად ნაკლებად ცნობილ კორეელებთან მეოთხედფინალში დასრულდა. „ისინი საოცრად ისროდნენ, ბურთი თითქმის არ აუცილებიათ" — ამბობდა ფრანგთა შორის ყველაზე შედეგიანი, კორეელებთან 21 ქულის ჩამგდები კატრინ მელანი. კიდევ ერთმა ფრანგმა იზაბელ ფიალკოვსკიმ თავის გუნდს 18 ქულა მოუტანა, მაგრამ მათი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი. კორეელთაგან კი ხუთი-ექვსი კალათბურთელი შესაშური სიზუსტით ლაშქრავდა მეტოქის კალათს. საბოლოოდ აზიელებმა თამაშიდან სროლების 68 პროცენტი ჩააგდეს.

ასევე დიდი მოულოდნელობა გახლდათ ბრაზილიელთა მიერ რუს ქალთა ძლევა. რუსებს ამერიკელთა ლამის ერთად-ერთი ღირსეული მეტოქედ ალიქვამდნენ და მისგან მინიმუმ ფინალში გასვლას ელოდნენ. ამ დროს ყველას გამორჩა ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ბრაზილია. მაგრამ ოთხი წლის წინანდელთან შედარებით სუსტ გუნდად მიჩნეულმა სამხრეთამერიკელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს. ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. საფინალო სირენამდე ოციოდე წამით ადრე რუსები 67:66 დაწინაურდნენ. ბრაზილიელებმა ბოლომდე გამოიყენეს შეტევისთვის განკუთვნილი დრო — ადრიანა სანტოსმა (11 ქულა, ბოლო წამებამდე ათამაშა ბურთი და რამდენჯერმე გააკეთა შეტევის იმიტაცია. რუსებიც წამოეგნენ ანკესზე, მთელი ყურადღება მასზე გადაიტანეს და დაისაჯნენ. სანტოსმა ეულად დარჩენილი ალესანდრა ოლივეირა მოძებნა და მანაც 1,5 წამით ადრე ბურთს რუსთა კალათში მიუჩინა ადგილი.

**ირაკლი ფირცხვილი**

## ველორბოლა

# ტელეკომიადა

## პროფესიულმა ინტერესებმა ეროვნული გადაფონა

**საგზატკეცილო** ჯგუფური რბოლა, რომელიც გერმანელების, უფრო სწორად კი გერმანული გუნდის „ტელეკომის" წევრების კარნახით წარიმართა, იან ულრიხმა მოიგო.



**იან ულრიხი**

შარშან ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი ულრიხი ბოლო კილომეტრებზე გაიქცა და თავის ორ თანაგუნდელს — ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვსა და თვისტომ ანდრეას კლოდენს მიასწრო ფინიშზე.

ძნელი სათქმელია, ვინოკუროვმა გამარჯვების შანსები თავის ეკონომიკურ ინტერესებს შესწირა თუ არა, მაგრამ ერთი რამ ნათელია — სამკაციანი შეტევისას უმეტესი დროის განმავლობაში სწორედ ის მუშაობდა გერმანელების წინ. რბოლის დამთავრების შემდეგ მან და მისმა გუნდის ლიდერმა ულრიხმა ერთმანეთს კარგა ხანს უტყაპუნეს ხელები ზურგზე, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ პროფესიონალური ინტერესები ამჯერად ეროვნულზე უმთავრესი იყო.

„არ ვფიქრობ, რომ ოლიმპიური პრინციპი დაირღვა — განაცხადა ვინოკუროვმა, რომელსაც საკმაოდ ბევრი გამარჯვება მოუპოვებია — ჩვენ სამნი ვიყავით და ვიცოდით, რომ ურთიერთთანამშრომლობით მედალი სამთავეს შეგვხვდებოდა. სინჯს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. იანი უძლიერესი იყო და ბოლოს გაგვექცა კიდეც". თუმცა ყაზახმა ისიც არ დამალა, რომ ოლიმპიადისთვის სიდნეიში მოემზადა გერმანიის ეროვნულ გუნდთან ერთად.

რაც შეეხება ბრინჯაოსმედალოსან კლოდენს, რომელმაც წლეულს მოულოდნელად პარიზი-ნიცა მოიგო, მან დაამტკიცა, რომ ულრიხს გერმანიაში ღირსეული შემცვლელები ჰყავს. თუმცა აქვე იმასაც ვიტყოდი, რომ ახალი ოლიმპიური ჩემპიონის სპორტიდან წასვლაზე საუბარი ჯერ უსაშველოდ ნაადრევია, რადგან იგი 2 დეკემბერს მხოლოდ და მხოლოდ 27 წლისა ხდება. ეს ასაკი კი ველოსპორტში გაფურჩქვნის დასაწყისად უფრო ითვლება, ვიდრე სავეტერანოდ.

„ჩვენ ერთიანი გუნდი ვართ და ასეა ყველგან. ალექსანდრი უკვე ერთი წელია, ჩვენთანაა და ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს" — თქვა კლოდენმა კურიოზული ფინიშის შემდეგ, რომელიც ველოსპორტის მოყვარულებს უეჭველად გაახსენებს რამდენიმე წლის წინანდელ პარიზი-რუბეს, როცა ბელგიელ იოჰან მუსეუვს ორმა მაპეელმა თანაგუნდელმა პირველობა უბრძოლველად დაანება.

ულრიხს ეს გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა, რადგან „ვუელტას" ნაადრევად მიტოვება როგორღაც გაემართლებინა და მანაც მოიგო, თანაც „ტურ დე ფრანსის" ზედიზედ ორგზის ჩემპიონ ამერიკელ ლენს არსმტრონგს (მე-13 ადგილი) დაანახა, რომ ინდივიდუალურ რბოლასაც არ დათმობს იოლად.

17,1-კილომეტრიანი წრე ვაჟებმა ქალებზე ორჯერ მეტჯერ, 14-ჯერ გაიარეს, რაც ჯამში 239,4 კილომეტრია. რბოლაში 154 კაცი მონაწილეობდა, რომლებიც საწყისი 12 წრის მანძილზე მეტად მშვიდად იყვნენ. ერთი ხანობა ყირგიზი სპორტსმენიც კი დაწინაურდა.

ბოლო ორი წრის წინ ყველა ფავორიტი პელოტონის სათავეში იყო. ტელეკომელების შეტევას ამ დროს არავინ ელოდა და ეს ბომბის გასკდომას ჰგავდა. იტალიელები — მიკელე ბარტოლი და პაოლო ბეტინი მათ კარგა ხანს მისდევდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, მესამე კაცი აკლდათ. საკითხავია, რა უნდოდა მთებში რბოლის დიდოსტატ მარკო პანტანის სიდნეიში? მის ნაცვლად ვინმე სხვა რომ ყოფილიყო და თავისიანებს მიშველებოდა, იქნებ იტალიური სამეული დასწეოდა კიდეც ტელეკომურს. თუმც შეიძლება პანტანის ინდივიდუალურ რბოლაში აქვს გამარჯვების იმედი(?!). ვინ იცის.

ასეა თუ ისე, იტალიელები ლტოლვილებს ვერ დაეწივნენ და რამდენიმე სხვა მრბოლთან ერთად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. ბარტოლი მეოთხე ადგილს დასჯერდა, ულრიხისგან წუთისა და 26 წამის დაშორებით. ულრიხი პირველი გერმანელია ოლაფ ლუდვიგის (1988წ.) შემდეგ, რომელიც საგზატკეცილო ველოსპორტში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. იგი აგრეთვე პირველია, ვისაც „ტურ დე ფრანსი" (1997წ.) და ოლიმპიადის ჯგუფური რბოლა მოუგია.

**1. იან ულრიხი (გერმანია) 5სთ 29წთ 08წმ; 2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) +0წმ; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია) +12წმ**

**გაიოზ თალაკვაძე**



გიორგი დემეტრაძეს კიევში „თბილისო" უმღერეს

# 15 მილიონიან დემეტრაძეს უკრაინის პირველი ქალი «თბილისოს» უმღერის

*საჩუქრები საჩუქრად, იუბილარი სხვასაც და თავსაც რომ უძღვნის და ამაზე არანაკლებ სასიამოვნო, ვფიქრობთ, პირველი ლედის მოლოცვაც უნდა იყოს, ზედდაყოლებული სიმღერით. წარმოიდგინეთ, შხაპმილებული თავს რომ ინესრიგებ და დაბადების დღეს ქვეყნის პირველი კაცის მეორე ნახევარი მოგილოცავს.*

*ასე იყო გუშინწინ, კიევში, „ოლიმპიური" სტადიონის გასახდელში. ფეხბურთის დიდი ქომაგი, უკრაინის პრეზიდენტის მეუღლე „ანდერლეხტთან" კიევის „დინამოს" მოგებამ ისე გაახარა, ფეხბურთელებს ჩააკითხა და...*

*26 სექტემბერს კიევის „დინამოს" ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე 24 წლისა გახდა და ამ დღეს უკეთესი აბა, რაღა უნდა ენატრა — გავიდა მინდორზე, ჩემპიონთა ლიგის მატჩში ერთბაშად ორი გოლი გაიტანა, გაიხარა, სხვებიც გაახარა და ნამატჩევს, შხაპმილებული პირველმა ლედიმ ჩაკოცნა.*

*ერთი სიტყვით, ბევრს ნულარ გავაგრძელებთ, გიორგი დემეტრაძემ ბრიუსელის „ანდერლეხტთან" დუბლი შეასრულა, რაც აქამდე ქართველებისგან ვერავის მოეხერხებინა. გუშინ კი კიევში შევეხმიანეთ, დაბადების დღე მივულოცეთ, გუნდის წარმატება და ეს ინტერვიუც ვთხოვეთ.*

— „ანდერლეხტი" რომ ვერ დაგვემარცხებინა, ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასვლა წარმოუდგენელი იქნებოდა — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ — მთელი ძალა მოვიკრიბეთ და მოსაგებად გავემზადეთ. ლობანოვსკიმ ფსიქოლოგიურადაც კარგად განგვაწყო და აგერ, შედეგიც. ისე, პირველ ტაიმში კი გაგვიჭირდა, მეტოქეს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა. ბედმა გაგვიღიმა, რომ ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგ გაცილებით უკეთ ავთამაშდით და საწადელსაც მივაღწიეთ.

**— დაბადების დღე აღვნიშნეთ, შენ უნდა თქვა...**

— რა ვიცი, ორი გოლი ერთ მატჩში აქამდეც რამდენჯერ გამიტანია, ჰეთ-თრიქიც გამიკეთებია, მაგრამ „ანდერლეხტთან" ორ გოლს ჩემთვის სხვა ფასი ჰქონდა. ძალიან მინდოდა, დაბადების დღეს გამეტანა, ბიჭებიც მეუბნებოდნენ, სტადიონზეც გამოაცხადეს, დემეტრაძე იუბილარიაო, მეც გაათკეცებული მონდომებით ვთამაშობდი, მაგრამ 90 წუთი არაფერი გამომივიდა, მსაჯის წამატებულ დროში კი... პირველი გოლისას სხვა შანსი არ მქონდა, მეკარე კარიდან ისე გამოვიდა, შეიძლებოდა დავეშავებინე, მეც აღარ დავაყოვნე, ცარიელი კარი რომ დავინახე, წაქცეულ მეკარეს ბურთი თავზე გადავატარე და სწრაფადვე ფეხი მოვარიდე. მგონი, ლამაზი გოლი გამოვიდა. მეორედ კი, მცველები რომ გავაპამპულე, ბურთი წინ გაგორდა, თანაც შევნიშნე, მეკარეს კუთხე მიტოვებული ჰქონდა და სწორედ იქით გავკარი ბურთს. ვფიქრობ, იმ დარტყმულის აღების შანსი არ იყო.

**— მოულხინეთ მატჩის შემდეგ?**

— ისე, ვიწრო წრეში. მამაჩემია აქ, ჩემი რამდენიმე ნათესავი, მეგობარი, კახა კალაძე. მისი ძმა, მამამისი. მატჩი რომ მორჩა, ჩემთან წავედით და რამდენიმე საათი ერთად გავატარეთ. იქამდე კი უკრაინის პრეზიდენტის მეუღლემ მომილოცა დაბადების დღე.

**— ეგ როგორ?**

— როგორ და თამაშის შემდეგ. ის ქალბატონი ფეხბურთის დიდი ქომაგია და ისეთი გახარებული იყო ჩვენი მოგებით, რომ გასახდელში ჩამოგვაკითხა. ჯერ მთელ გუნდს მოგვილოცა „ანდერლეხტის" დამარცხება, მერე მე მომიახლოვდა და... ვიმღეროთო, მითხრა, გავიღიმე, მან კი ქართულად დაიწყო — „თბილისო..." ამყვევიო, გადმომილაპარაკა, მაგრამ რა მომღერალი მე ვარ. ჩუმად ვიდექი და ვუსმენდი. სიმღერა რომ დაამთავრა, რა საჩუქარს ისურვებ დაბადების დღეზე, რა გიყიდოო, ხმამაღლა, მთელი გუნდის გასაგონად მითხრა. მომერიდა, ხმა ვერ ამოვიღე, როგორი საქმეა, ამას პრეზიდენტის ცოლი მეუბნებოდა. ბოლოს გადამკოცნა, ერთხელაც მომილოცა და წავიდა. მერე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი კრავჩუკი შემოვიდა გასახდელში, ყველას მადლობა გადაგვიხადა. კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანმა მოგვილოცა, მათ არ ვიცნობ. თავად პრეზიდენტი კუჩმა კი ავად ყოფილა და თამაშს ვერ დაესწრო.

**— დამფასებელი არ გაკლიათ...**

— არა, რა თქმა უნდა. გასახდელში დაახლოებით საათნახევარი ვიყავით, ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. ყველა გახარებული იყო. აი, ასეთ ყურადღებას გვაქცევენ. ჩვენც ვცდილობთ, სამაგიერო კარგი თამაშით გადავუხადოთ.

**— აქამდე, ერთი-ორჯერ ლობანოვსკიმ უკრაინის ჩემპიონატის მატჩებშიც კი სათადარიგოდ დაგტოვა, ხშირადაც გცვლიდა. რისი ბრალი იყო?**

— გუნდთან შეგუება გამიჭირდა. კიევის „დინამო" სხვანაირ ფეხბურთს თამაშობს და ორ-სამ თვეში ყველას ისე ვერ გაუგებ, როგორც მწვრთნელს სურს. ახლა ყველაფერი კარგადაა, გოლებსაც მოვუხშირე და ნელ-ნელა კიდევ უფრო უკეთ ავთამაშდები. მთავარი რაც იყო, პარტნიორებთან შეგუება, უკან მოვიტოვე. ისე, რომ ვთქვა, აგერ უნგრეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ბოდნარი უკვე სამიოთხი თვეა, ჩვენს გუნდშია და ლობანოვსკი ძირითადში არ ათამაშებს. არადა, 90 წუთი ცხენივით დარბის, არ ჩერდება, ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერჯერობით გუნდის ტაქტიკას ვერ მოერგო.

**— სიტყვამ მოიტანა და კმაყოფილი ხარ შენი ფიზიკური მომზადების დონით?**

— საგრძნობლად მოვლონიერდი. ისე ვარ, ორი წლის წინანდელთან შედარებაც არ შეიძლება.

**— ლობანოვსკი რას გეუბნება?**

— რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ და პირდაპირ მითხრა, ხომ ხედავ, ნელ-ნელა უმატებ და უმატებ, კმაყოფილი ვარო. ლობანოვსკის კი მგონი დაეჯერება.

**— დაეტყო რებროვის წასვლა გუნდის თამაშს?**

— მაინცდამაინც არა. „დინამო" ისეთი გუნდია, ყველას შემცვლელს მოძებნის, ოღონდ ცოტა დრო უნდა, ლობანოვსკი ხომ უნდა დაფიქრდეს.

**— კალაძის წავლაზეც ლაპარაკობენ და ეს საკმაოდ რეალური...**

— რა ვიცი, ლობანოვსკი რამეს ილონებს. კახა „დინამოსთვის", რებროვისა და შევჩენკოს არ იყოს, დიდი ძალაა.

**— შენც ხომ გეპატიჟებოდნენ უცხოური კლუბები?**

— კი, მაგრამ ვინ მიშვებს? თანაც მეც არაფერს ვამბობ. ერთი წელი არც არის „დინამოში" ვთამაშობ და უხერხულია ხელმძღვანელებს სიტყვა წასვლაზე ჩამოვუგდო. რამდენადაც ვიცი, ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის უძლიერესი გუნდები არიან ჩემით დაინტერესებულნი და მითხრეს, 15 მილიონ დოლარს იხდიან შენს სანაცვლოდო.

**— დაბოლოს, ერთსაც „მანჩესტერთან" თამაშზე გკითხავ...**

— „ბაიერნის" წინააღმდეგ მითამაშია, „რეალის", კიდევ ბევრი კარგი გუნდის მეტოქე ვყოფილვარ, მაგრამ „მანჩესტერი" სულ სხვაა, ასეთი არაფერი მინახავს, სასწაული იყო და, წარმოიდგინეთ, მათთან ფრედ ვითამაშეთ. ფიზიკურად ვთქვათ, ტექნიკურად, ტაქტიკურად, „მანჩესტერი" ყველანაირად გამართულ ფეხბურთს თამაშობს.

**ძოზა ინასარიძე**

# ფიფა vs დინამო

## პერსონალური მეურვეობა «ფეხს არ გაგანძრევინებ» პრინციპით

## სფფ-ზე გამწყრალი ფეხბურთის დიდმოხელენი დღეს სიდნეიში დინამოზე ილაპარაკებენ

ისევ „მრეტები" — „დინამოს" გახმაურებული საქმის თაობაზე, რაც ალბათ კულმინაციას აღწევს და თუ აქამდე ფიფას სასაყვედურო მხოლოდ „დინამოსთან" ჰქონდა, „მრეტებს" კუთვნილ ფულს რად არ აძლევთო, ახლა ფეხბურთის მმართველი ორგანო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაუნაწყენდა.

ფედერაციამ თურმე ფიფას მითითებები არ შეასრულა, მათ სახელზე გაგზავნილი ფაქსების შინაარსი „მრეტებს" არ აცნობა, მეტიც, „მრეტებისთვის" გადასაგზავნი ფაქსები თურმე დამალა და ფიფამ რომ უთხრა, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის „მრეტებს" ხელი შეუწყვეთო, საამისოდ ფედერაციამ არაფერი გააკეთა. „მრეტებიც" ადგა და ჩემპიონატში თამაშისთვის საჭირო საწევრო თანხა იხსნა.

ეს ამბავი „მრეტებმა", რაღა თქმა უნდა, ფიფას ამცნო და შვეიცარიიდან პასუხმაც არ დააყოვნა. 22 სექტემბერს ფედერაციამ ფიფასგან, ვფიქრობთ, უსიამოვნო შინაარსის ფაქსი მიიღო, რომლის ასლიც ორშაბათს რედაქციაში „მრეტების" წარმომადგენელმა მოგვიტანა და რომელსაც აქვე უცვლელად გთავაზობთ.

ფედერაციამ კი ფიფასგან გაგზავნილი ორი, 16 აგვისტოთი და 15 სექტემბრით დათარიღებული ფაქსი „მრეტებს" დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადასცა, რასაც „მრეტების" პრეზიდენტ ვაჟა ჩხაიძის მიერ ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას სახელზე გაგზავნილი ფაქსი მოჰყვა. „მე კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მართლაც რომ „გირჩევთ", ზრდილობასა და გონიერებას მოუხმოთ" — აი, ნაწყვეტი ჩხაიძის წერილიდან ჩოლარიასადმი. და კიდევ ერთი: „ფიფას 22.09.00 დირექტივიდან ნათლად ჩანს, თუ რა საშიშროება ემუქრება ქართულ ფეხბურთს ფიფასგან თქვენი სამართალსაწინააღმდეგო ქმედებების გამო. ამის შესახებ მე თქვენ დიდი ხანია და საჯაროდ გაფრთხილებთ". ეს ციტატაც ამავე წერილიდანაა.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ „მრეტები" — „დინამოს" საქმეს დღეს სიდნეიში ფიფას სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს და, ალბათ, „დინამოს" ერთხელაც და უფრო მკაცრად დასჯის. სულაც არ არის გამორიცხული, ქვეყნის 10-გზის ჩემპიონები უმაღლესი ლიგიდანაც დააქვეითონ. შეგახსენებთ, ფიფას „დინამოს" 16 აგვისტოს ყველანაირი საერთაშორისო ტრანსფერი აუკრძალა. ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბატონ ვალერი ჩოლარიას გენერალური მდივანი

ციურიხი, 2000 წლის 22 სექტემბერი

ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე

(ფკ მრეტები თბილისი, საქართველო / ფკ დინამო თბილისი, საქართველო / ფკ მანჩესტერ სიტი, ინგლისი)

ძვირფასო ბატონო,

ჩვენ ვუბრუნდებით ზემოაღნიშნულ საქმეს და ყველა კორესპონდენციას, რაც კი თქვენ ფედერაციაში ამ საკითხზე ჩვენგან იქნა გამოგზავნილი.

თქვენმა წევრმა კლუბმა ფკ მრეტები თბილისმა და მისმა სამართლებრივმა წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მოგვმართეს ამ საქმესთან დაკავშირებით. კორესპონდენციიდან ცხადი შეიქმნა, რომ თქვენმა ფედერაციამ უხეშად უგულებელყო მისი მოვალეობა, გადაეცა წევრი ფკ მრეტები თბილისისთვის ჩვენი ტელეფაქსები, რითაც თქვენი კლუბი ვერ ჩადგა საქმის განვითარების კურსში. ჩვენ ძალიან განცვიფრებული ვართ იმით, თუ როგორ ექცევა თქვენი ფედერაცია ამ საქმეს და სამწუხაროდ უნდა შეგახსენოთ, რომ ამ საკითხში თქვენდამი გამოგზავნილი ყველა კორესპონდენცია თქვენს ორივე წევრ კლუბს უნდა გადაეცეს.

შედეგად, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ თქვენმა ფედერაციამ ჩვენი სამსახურის 2000 წლის 16 აგვისტოს და 2000 წლის 15 სექტემბრის ტელეფაქსები დაუყოვნებლივ გადასცეს ფკ მრეტები თბილისს, ხოლო კორესპონდენციის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი საბუთების ასლები გამოუგზავნოთ ფიფას. ამ ფაქსის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ამ კორესპონდენციის ასლს, ასევე, პირდაპირ გავუგზავნით ფკ მრეტები თბილისს, გამონაკლისის სახით.

გარდა ამისა გვსურს გაცნობოთ, რომ, როგორც ჩვენს 2000 წლის 15 სექტემბრის კორესპონდენციაში განვაცხადეთ, საქმე გადაეცემა 2000 წლის 28 სექტემბერს სიდნეიში გამართულ ფიფას დისციპლინარულ კომიტეტს, რათა მან თქვენს კლუბს, ფკ დინამო თბილისს შესაბამისი დისციპლინარებული სანქციები დააკისროს, ჩვენი კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებების უგულვებელყოფისათვის.

მადლობას გიხდით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებისათვის.

პატივისცემით,

ფიფა

ჯანპაოლო მონტენერი

მოთამაშეთა სტატუსის უფროსი

იურიდიული სამსახური


# მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური" აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია)

☎ 29-48-60. 23-53-17



მერანელ ანდრეი მუხინს თვისტომი ჩამოუვიდა

# მერანის ფლორა მუხინს პოდლესნი მოჰყვა

**თბილისის** „მერანში" კიდევ ერთი ლეგიონერი ითამაშებს — დღეს თბილისში ჩამოვა და საღამოსვე ალბათ გუნდთან ერთად ივარჯიშებს უკრაინელი, 25 წლის ნიკოლაი პოდლესნი.

პოდლესნიც, ისე როგორც მეორე მერანელი, უკრაინელი ანდრეი მუხინი, ლუგანსკის საფეხბურთო ინტერნატში გაიზარდა, მერე კი სოჭის „ჟემჩუჟინაში" და მარიუპოლის „მეტალურგში" უთამაშია. ამპლუით ის მარჯვენა მცველია, თუმც, როგორც გვითხრეს, ნახევარმცველადაც ვარგა, სწრაფია და ფიზიკურად ძლიერიო. პოდლესნის თავის დროზე უკრაინის ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშია.

დღეს ამ ფეხბურთელს თბილისში ექიმები შეამოწმებენ და თუ ჯანმრთელია, საქართველოს ჩემპიონატის უახლოეს ტურშივე ქუთაისში, „ტორპედოს" წინააღმდეგ ითამაშებს 1 ოქტომბერს.

რა დონის ფეხბურთელია ნიკოლაი პოდლესნი, ისე, იმასაც ამბობენ, მუხინს არაფრით ჩამოუვარდებაო. თუ ასეა, არა უშავს, კარგი ძალა უნდა ემატებოდეს „მერანს", რომელიც, ჩანს ალარ ხუმრობს.

**ბოგა ინასარიძე**

# კახეთმა რთველს ჩამოუსწრო

**ამ** შემოდგომაზე წნორული „მილანის" ბაზაზე დაკომპლექტებულმა „კახეთმა" ბოსნიას მიაშურა და ევროპის რეგიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაება. მიზანი წლეულსაც მიუღწეველი დარჩა. „კახეთის" მონავარი, ერთი მოგება, ერთი ფრე და ამდენივე წაგება მხოლოდ მესამე ადგილის მოსაპოვებლად აღოჩნდა საკმარისი.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურები პირველ მატჩში რუმინელებს დაუზავდნენ, ხოლო მეორეში კაცნაკლულ მასპინძლებთან დამარცხნენ.

„კახეთმა" ბოლოს აზერბაიჯანის გუნდს 2:1 მოუგო, ნამუსიც ჩამოიწმინდა და რთველსაც ჩამოუსწრო.

*კახეთმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კადალაევი, ჩადუნელი, გელაშვილი, მეტრეველი, მოსიაშვილი, სოსელია, ჯანელიძე, კრავეიშვილი (ბახტაძე 73), ვარამაშვილი (მერებაშვილი 54, მაისურაძე 84), მეტონიძე, თვაური*

*სათადარიგონი: სილაგაძე. კიკვიძე*

*გაფრთხილება: მეტონიძე (71), სოსელია (75)*

*მსაჯი: დუდუ გეორგესკუ (რუმინეთი)*

ჩვენებურთაგან ორივე გოლი მიხეილ სოსელიამ გაიტანა. ტურნირზე იმყოფებოდა თბილისელი მსაჯი ოთარ ხეცაძე, რომელმაც აზერბაიჯანისა და რუმინული „დაჩიას" მატჩი განსაჯა და დავალებასაც თავი გაართვა.

**დათო დანელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| დაჩია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |

## საქართველოს თასი

**მერვედფინალი**

**პირველი მატჩები**

27 სექტემბერი, ოთხშაბათი

| | | |
|---|---|---|
| თორი | 1:2 | ლოკომოტივი |
| თბილისი 2 | 0:3 | მერანი |
| დინამო | 5:0 | მილანი |
| გორდა | 3:0 | ლოკომოტივი 3 |
| ცხინვალი | 2:2 | თბილისი |
| სიონი | 3:0 | ივერია |
| დილა | 4:0 | ჭაბუკიანი |
| ვიტ ჯორჯია | 4:0 | ს.ა. იბერია |
| დინამო 2 | 3:1 | თსუ |
| ტორპედო | 4:0 | ლაზიკა |
| კოლხეთი | 4:0 | კოლხეთი 2 |
| იბერია | 0:1 | სამგურალი |
| ბათუმი | 6:0 | ოკეანე |
| გურია 2 | 0:1 | მეტალურგი |
| შუქურა | 0:2 | გურია |
| ზუგდიდი | 3:0 | ხობი |

*საპასუხო მატჩები 17 ოქტომბერს ჩატარდება და 16 საათზე დაიწყება*

საქართველოს ჩემპიონატი · პირველი ლიგა · 12 · პირველი წრე

**6 ტური**

# ნუ იქნება ოლონდ ბუნტი

**ერთობ** არასტუმართმოყვარული გამოდგა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის მეექვსე ტური. ხუთ მატჩში სტუმრებმა მხოლოდ ორი ბურთის გატანა შეძლეს და უქულოდ დარჩნენ. პრინციპში ტურმა ლოგიკურად ჩაიარა, დამარცხდა იქამდე წაუგებელი „ცხინვალიც", მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიდა ქართლელები ზესტაფონს სტუმრობდნენ, მათ მარცხში მოულოდნელი არაფერია. „მეტალურგი" უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და პირველი ლიგის ერთ-ერთი ფავორიტიცაა.

ზესტაფონში მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, თუმც მეტწილად მცველები და მეკარეები ყოჩაღობდნენ, ასე გაგრძელდა 86-ე წუთამდე, იქ კი არბიტრმა კრიჭაშვილმა მასპინძელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც უნაკლოდ შეასრულა გრიგოლ გვაზავამ, დარჩენილი დრო „ცხინვალს" გასათანაბრებლად არ ეყო და დამარცხდა, ლიდერობა კი მაინც შეინარჩუნა, თუმც „შუქურას", რომელსაც იმდენივე ქულა აქვს, მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობითლა უსწრებს.

„შუქურამ" ბოლო დროს მაღაზე მოსულ „ზუგდიდს" უმასპინძლა. ამ მატჩმა ქობულეთში დიდი ინტერესი გამოიწვია და „ცენტრალურზე" ოთხი ათასამდე ქომაგმა მოიყარა თავი. გულშემატკივარი არც შემცდარა — მათმა რჩეულმა დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა და ახლა უახლოეს მდევარ „მეტალურგს" ორი ქულით უსწრებს. ქობულეთში კალანდაძე-კაკალაძის დუეტი გამოირჩა. სწორედ მათი გოლებით მოამთავრა „შუქურამ" საქმე პირველ ტაიმშივე. ზუგდიდმა მეოთხე საფეხურზე ჩაინაცვლა და მომავალ ტურში „თორთან" შეეცდება დანაკარგის ანაზღაურებას.

გაიმარჯვა აუტსაიდერმა „თბილისმაც". რევაზ გაგუას შეგირდებმა „ხობს" სძლიეს. მატჩის პირველი და უკანასკნელი გოლი მანჭარაულმა გაიტანა პირველივე წუთზე. აქედან მოყოლებული, „ხობი" ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო.

შინ თამაშობდა ბორჯომის „თორი", და, ბუნებრივია, ტრადიცია არ დაარღვია — მორიგი გამარჯვება მოიპოვა. „თორმა" მოუგებელი „ივერია" დასცა, თუმც ამის გაკეთება დიდი ძალისხმევის ფასად შეძლო. გადამწყვეტი ბურთი ექსსამგურალელმა გიორგი სუხიაშვილმა შეაგდო თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან.

დაბოლოს, „სამგურალი"-„ოკეანე". წყალტუბოელებმა 4:2 გაიმარჯვეს, ლოგიკურადაც. ბომბარდირული თვისებები გამოავლინა ზვიად ქუთათელაძემ. მან ჰეთ-თრიქი გააზრხა და თავისიანთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. შეხვედრა კორექტულად წარიმართა. ბოლო დროს სკანდალებში გახვეულ მსაჯ მეშკოვს გაფრთხილებითაც არავინ გაუფრთხილებია, ქომაგიც მშვიდად ადევნებდა მატჩს თვალს და მაინც წყალტუბოურ შეხვედრას ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. „ოკეანემ" ათი კაცის შემადგენლობით ითამაშა შეუცვლელად, თანაც მთავარი მწვრთნელის კახა ელოშვილის გარეშე. მიზეზი გუნდში მომხდარი დაპირისპირებაა. ერთ მხარეს ფეხბურთელთა ერთი ნაწილია (მათ აზრს გუნდის მთავარი მწვრთნელიც იზიარებს) და მეორე მხარეს კლუბის ხელმძღვანელობა. ამასთან დაკავშირებით გუშინ „ოკეანეს" პრეზიდენტ მურმან ძნელაძეს დავუკავშირდით. მისი თქმით, გუნდში სერიოზული სკანდალია და ყოველივე დაფიქრებას და დარეგულირებას მოითხოვს. ორ დღეში თბილისში ვიქნები და ამ არასასიამოვნო ფაქტზე დაწვრილებით მაშინ ვისაუბროთო, დაგვპირდა ძნელაძე.

მეშვიდე ტური 30 სექტემბერს ჩატარდება და ალბათ სრულადაც, რადგან იმ დროისთვის წნორის „მილანიც" მოიცლის (შეგახსენებთ, ამ გუნდის ბაზაზე შექმნილი „კახეთი" ბოსნიაში თამაშობდა რეგიონთა თასზე) საპირველლიგოდ და შინ ზესტაფონის „მეტალურგს" შეხვდება.

**ბაათა ძმანტალიანი**

წყალტუბო · 24 სექტემბერი · 17 საათი · 26 მაისი · 300 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 4:2 ოკეანე

1:0 ბაბუნაშვილი (24), 2:0, 3:0 ქუთათელაძე (33, 57), 3:1, 3:2 კრავეიშვილი (59, 82), 4:2 ქუთათელაძე (88)

სამგურალი: ბოდოკია, ბ. ბერაძე, დ. ჭელიძე, ლ. ქობულაძე (დ. ჯიქია 29), თირქია, შ. ფუტკარაძე, მ. ჯინჭარაძე (ტეხოვი 42), ბაბუნაშვილი, კიკვიძე (მაჭარაძე 46), გოლეთიანი, ზ. ქუთათელაძე

სათადარიგონი: გიორგაძე, კუხალაშვილი, ფხაკაძე, ბარაბაძე

ოკეანე: ქვასელი, მზიკაძე, ქიმაძე, მალალურაძე, ჯულაყიძე, ფირცხალაიშვილი, ჩიგოგიძე, თოდაძე, გოგიბერიძე, კრავეიშვილი

„ოკეანემ" 10 კაცით ითამაშა

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი; ბ. ბრეგვაძე (ორივე ქუთაისი)

ბორჯომი · 24 სექტემბერი · 17 საათი · ჯიმალ ზეინკლიშვილი · 1000 (ტევადობა 3 000)

### თორი 1:0 ივერია

1:0 სუხიაშვილი (69მ)

თორი: ა. ლაბაძე, დ. ლეკიშვილი (სუხიაშვილი 60), ქობქაშვილი, მ. ლომიძე, სეფერთელაძე, გ. ლომიძე, ელისაშვილი, გლუნჩაძე (მალიკაშვილი 72), ხოსროშვილი (ფირცხალავა 88), კ. ჯანაშია, თალაკვაძე

სათადარიგონი: სულაბე; ზარანდია

ივერია: ხვედელიძე, ვაჩლავაშვილი, პავლიაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ნეკერაშვილი, ჯობაძე, გოგალაძე, ვლასოვი, ნ. ჩალაძე (მ. ლეკიშვილი 70), ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე

სათადარიგონი: ბალიანი; ულუმბელაშვილი, ბლიაძე, დ. ხაჩიძე

გაფრთხილება: ხვედელიძე (26), ვაჩლავაშვილი (52), ლაბაძე (55), პავლიაშვილი (63), გლუნჩაძე (68), გ. ლომიძე (86)

მსაჯები: ა. შილაკაძე; კ. თბილელი (ორივე თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი); მ. მალალურაძე (თბილისი)

ზესტაფონი · 24 სექტემბერი · 17 საათი · მეტალურგი · 500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 1:0 ცხინვალი

1:0 გვაზავა (86მ)

მეტალურგი: ოდიკაძე, გურეშიძე (ფანცხავა 76), ლურსმანაშვილი, მერებაშვილი (აბაზაძე 58), ბაქრაძე, გოგაძე, კაციაშვილი, აქარაძე, ორმოცაძე (ძიძიკაშვილი 68), გ. გვაზავა, ფირცხალაიშვილი

სათადარიგონი: ნიქაბერიძე, გავაშელიძე, მახათაძე

ცხინვალი: ქესანაშვილი, ცხადაძე, რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე (მურადელი 72), ვაჩლავაშვილი, ბოჭორაძე, არუთინიანი, მარგიევი, მარლიშვილი, ნასუაშვილი (მოსიაშვილი 53), გვირჯიშვილი

სათადარიგონი: დ. მაისურაძე; ზ. მაისურაძე

გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (38), მოსიაშვილი (77)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

თბილისი · 24 სექტემბერი · 17 საათი · ისანი · 200 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 1:0 ხობი

1:0 მანჭარაული (1)

თბილისი: კუპატაძე, ჯაფარიძე, ზ. ნიკურაძე (ველავაკავა 55), მ. ტყებუჩავა, სახურია, სალარეიშვილი, გუშარაშვილი, ქუხილავა, კოხრეიძე (მისაბიშვილი 58), მანჭარაული (დ. შენგელია 73), ლუჭაშვილი

სათადარიგონი: მჭედლიშვილი; აბრამიშვილი, ა. მუმლაძე, გოგმაჩაძე

ხობი: შ. გოგია, ჯამბურია (ხორავა 46), ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ფიფია (ჯღეთა 80), ხურციღავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, არ. ჯიქია (ზაზა აიანადი 46), ჭიჭინაძე, აბაკელია

სათადარიგო: რ. თოლორდავა;

გაფრთხილება: მისაბიშვილი (60), ლუჭაშვილი (81), ფიფია (82)

მსაჯები: მ. ელიკაშვილი; ზ. დოლიძე, ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ქობულეთი · 24 სექტემბერი · 17 საათი · ცენტრალური · 4 000 (ტევადობა 8 000)

### შუქურა 2:0 ზუგდიდი

1:0 კალანდაძე (31), 2:0 კაკალაძე (42)

შუქურა: გოგუა, კოროტკოვი, ოქროპირიძე, ქუტიძე, ჯ. ბერიძე, ბ. ფუტკარაძე (გორჯელაძე 67), კ. ჩადუნელი (ყალიჩავა 46), გეგეშიძე, კაკალაძე, კალანდაძე (ჩელებაძე 46), პერმინოვი

სათადარიგონი: ბოლქვაძე, ჩახუნაიშვილი, ლომთათიძე, ბაძუნაიშვილი

ზუგდიდი: ნაყოფია, ლურწკაია, ჭითანავა, გედევანიძე, დიდიძე, ან. ჯიქია, ცოლბაია (ონიანი 46), კუტალია, გამსახურდია, ჩიქობავა, თოლორაია (ლ. ბუკია 46)

სათადარიგონი: მ. კვარაცხელია; თორია, კალმახელიძე

გაფრთხილება: ნაყოფია (30), ყალიჩავა (54), ონიანი (58), კოროტკოვი (76)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჰ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ლანჩხუთი · 24 სექტემბერი · 17 საათი · ევგრაფი შევარდნაძე · ტევადობა 22 000

### გურია 3:1 მილანი

„მილანის" ბაზაზე ჩამოყალიბებული კახეთის ნაკრები ბოსნიაში რეგიონთა თასის შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ იმყოფებოდა და მატჩი გადაიდო

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 5 - | ბოჭორაძე | ცხინვალი |
| | კალანდაძე | შუქურა |
| 4 - | გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| | გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 3 - | მარლიშვილი | ცხინვალი |
| | არუთინიანი | ცხინვალი |
| | კუტალია | ზუგდიდი |
| | ქუთათელაძე | სამგურალი |

**პირველი ლიგა**

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ცხინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 13 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 |
| 2 შუქურა | 6 | 4 | 1 | 1 | 8:1 | 7 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 3 მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | -3 | 2 |
| 4 ზუგდიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 5 სამგურალი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 6 თორი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | -1 | 3 |
| 7 გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | -8 | 1 |
| 8 თბილისი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:10 | -7 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 9 ოკეანე | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 10 ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 1 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 11 მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 12 ივერია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

**დღეს, 28 სექტემბერს, კროკო ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

უეფას თასი. პირველი ეტაპი. მეორე მატჩები

28 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 523 | ვისლა-სარაგოსა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 524 | ლიბერეცი-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 525 | პარმა-პობედა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 19.30 | 526 | ტორპედო-ლოზანა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 527 | დინამო (მოსკოვი)-ლილესტრიომი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 528 | მაკაბი-ვიტესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 529 | იორგრიტე-რაპიდი (ვენა) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 530 | ნეფტოხიმიკი-ლოკომოტივი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 531 | აპოელი-ბრიუგე | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 21.30 | 532 | რომა-გორიცა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 21.30 | 533 | აკადემისკი-სლავია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.30 | 534 | გაზიანთეფი-ალავესი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.30 | 535 | ამიცა-ალანია | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 536 | ბეითარი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 537 | ბოავიშტა-ვორსკლა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 538 | დინამო (ზაგრები)-სლოვანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 539 | ჰიკ-სელტიკი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 22.00 | 540 | ნანტი-კრივბასი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 541 | ცრვენა ზვეზდა-ლესტერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.30 | 542 | ბრანი-ბაზელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.30 | 543 | ირაკლისი-გენიონი | 1,65 | 3,1 | 5,0 |
| 22.45 | 544 | ვერდერი-ანთალია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 545 | მტკ-ცსკა (სოფია) | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 546 | ოფი-ნაპრედაკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 547 | აეკ-ვაშაში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 548 | ფეიენოორდი-დუნაფერი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 549 | ოსიეკი-ბრონდბიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 550 | აიაქსი-გენტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 551 | გენკი-ციურიხი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.30 | 552 | ჰერფიოლგე-აიკ | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.30 | 553 | ფიორენტინა-ტიროლი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 554 | სენტ გალენი-ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 555 | რიეკა-სელტა | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 24.00 | 556 | რაიო ვალეკანო-მიოლდე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 24.00 | 557 | ინტერი (მილანი)-რუხი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 24.00 | 558 | ლივერპული-რაპიდი (ბუქარესტი) | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 00.15 | 559 | ესპანიოლი-ოლიმპია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 01.00 | 560 | ჰართსი-შტუტგარტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 01.00 | 561 | ბენფიკა-ჰალმსტადი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 562 | პორტუ-პარტიზანი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

**QARTU BANK LADIES OPEN**

თბილისი. ქართუ ბანკის ქალთა პირველობა. თიხნარი. საპრიზო 25 000 $

ქართუ ბანკის ქალთა პირველობის მეორე წრემ გუშინ ორი განთესილი შეიწირა, ტურნირის მეორე და მეოთხე ნომრები, დანიელი ევა დირბერგი და ბულგარელი ანტუანეტა პანჯეროვა ახლა წყვილთა შეჯიბრში თუ შეეცდებიან თავის გამოჩენას. ბულგარელი პანჯეროვასა და რუსი მარიანა იუფეროვას მატჩზე ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი ჩვენებურთა, უფრო სწორად, ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ქართველის, მაკა ჩახნაშვილის თამაშზე ვთქვათ.

# მაკას ჩაწნულ-ჩახუჭუჭებული ქართულ-ზანგური ალიანსი რუსულ-სომხური კავშირის წინააღმდეგ

**მაკას** მეტოქე რუსეთის სახელით მოთამაშე სომეხი ლუდმილა ნიქოიანი იყო, თუმცა ლუდმილა იერით რუსს ჩამოჰგავს და იოლად შეამჩნევდით, რომ მასში დედის გენს უმარჯვია. დაკვირვებულ თვალს არც მისი კაცური მხარბეჭი და მშვიდი, აუღელვებელი სახე გამოეპარებოდა. რახან სიტყვა ჩოგბურთელთა გარეგნობაზე ჩამოვარდა, რამ ჩახნაშვილის ვარცხნილობაზეც: ვინც ჩვენებურის „ზანგურად“ ჩაწნულ-ჩახუჭუჭებულ თმებს შეხედავდა, რომ არა კანის ფერი, იქნებ დებ უილიამსებშიც შეშლოდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, თუ მაკა საჩოგბურთო სამყაროს შავ პრინცესებს თამაშითა და, განსაკუთრებით, მოწოდების სიმძლავრით დაემსგავსება, ალბათ არც მას და არც ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება.

ამ მცირედი გადახვევის მერე, ჯობს თავად მატჩს დავუბრუნდეთ. ჩახნაშვილმა ეს შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გააღწია, თუმცა ლეილა მესხის აკადემიის ცენტრალურ კორტზე შეკრებილი ქომაგები გვარიანად ანერვიულა. არადა, მატჩის დასაწყისს ისეთი პირი უჩანდა, გულშემატკივრები მაკასგან იოლ გამარჯვებას ელოდნენ. ქართველი პირველ სეტში 3:0 დაწინაურდა და სამივე გეიმი მართლაც ძალდაუტანებლად მოიგო. ეგ კი არა, ისიც კი გავიფიქრეთ, მიუხედავად ზორბა ნიქოიანის არცთუ ურიგო მოწოდებისა, რუს სტუმარს ჩოგბურთის ბევრი არაფერი გაეგებაო, მაგრამ ლუდმილა თურმე სხვაგვარად ფიქრობდა და ჩოგნის ცემაც ხეირიანად სცოდნია, რაშიც მეოთხე გეიმში დავრწმუნდით. ნიქოიანმა უკანა ხაზიდან ბურთის ძლიერად გადაგდებას ბადესთან გასვლა და შემოკლებული დარტყმები არჩია და გეიმიც იოლად მოიგო. მადაზე მოსული ნიქოიანი, მომდევნო ორ გეიმშიც ჩინებულად გაისარჯა, ბადესთან ნაყოფიერ გასვლებს, ორი ეისიც მიაშველა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:4. ჩახნაშვილი და მისი ქომაგებიც პირველად მაშინ აღელდნენ. ტრიბუნაზე მოკალათებულმა ლეილა მესხმაც ხმა ამოიღო და მაკას მეტი ყურადღებით თამაში ურჩია. მესხის შეძახილმა გასჭრა თუ ნიქოიანმა საქმე მოთავებულად ჩათვალა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია — ჩახნაშვილმა მეტოქეს აღარაფერი დაუთმო, ერთი-ორჯერ მოწინააღმდეგე ბავშვურადაც შეცდა და ქართველმა პირველი სეტი 6:3 მოიგო.

მეორე სეტი საცქერლად უფრო თვალსასეირო გამოდგა. აქვე გეტყვით, საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ამჯერად ჩახნაშვილი აღმოჩნდა მდევრის როლში. მაკას განსაკუთრებით მეტოქის მოწოდებაზე უჭირდა, თუმცა 4:2-ზე ძალა და ჭკუა მოიკრიბა და ანგარიში გაათანაბრა — 4:4. მერე მეტოქეებმა თავიანთი მოწოდებები მოიგეს და ტაი-ბრეიკის დროც დადგა. ქართველმა ჩინებულად დაიწყო და 3:0 დაწინაურდა, აქამდე მშვიდად მოთამაშე ნიქოიანმაც ველარ მოთოკა ნერვები და რამდენჯერმე საკუთარ თავს დაუცაცხანა. ვიდრე ლუდმილა თვითშეგონებით იყო გართული, ამასობაში ანგარიში 5:2 გახდა. მერე კი... მერე კორტის თავზე შავმა ღრუბელმა მოიყარა თავი, ცა საწვიმრად გაემზადა, ჩახნაშვილი კი სატირლად. როგორი საქმეა, მეორე სეტში ტაი-ბრეიკზე 5:2 იგებდე, ასეთი უპირატესობა კი ქარს გაატანო? სწორედ ასე დაემართა ჩახნაშვილს, ნიქოიანს ველარაფერი დაუპირისპირა და სეტიც წააგო — 6:7.

მესამე, გადამწყვეტი პარტიის დასაწყისი ჩვენებურს კარგს არაფერს უქადდა, მაკა თავის თავს აღარ ჰგავდა, ნერვიულობდა და წამოიძახა კიდეც, ველარ ვთამაშობო, ასეთი განწყობით რომ მატჩს ვერ მოიგებდა, თავადაც კარგად იცოდა. 2:2-ზე გაათკეცებული ძალ-ღონით გაისარჯა და 3:2 დაწინაურდა. როგორც მერე გამოჩნდა, მეხუთე გეიმის მოგებით ჩახნაშვილმა შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა. უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. 5:3-ზე სამმაგი მატჩ-პოინტისას ლამაზი დარტყმით მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა — 6:3. ქართველს მეოთხედფინალში უკრაინელი იულია ბეიგელზიმერი ელის, რომელმაც პირველ წრეში მესამედ განთესილი ბულგარელი დესისლავა ტოპალოვა შეიწირა, გუშინ კი თვისტომ ოლგა ლაზარჩუკს აჯობა.


მიშა ალავიძის ფოტო

მაკა ჩახნაშვილმა ნიქოიანის დამარცხების მერე უკრაინელთან დაიჭირა საქმე


მიშა ალავიძის ფოტო

ანტუანეტა პანჯეროვა

ახლა დაპირებულ პანჯეროვა — იუფეროვას მატჩზე ვთქვათ. ბულგარელი პანჯეროვა 25 წლისაა და მსოფლიო კლასიფიკაციაში 199-ეა. მისი მეტოქე კი მხოლოდ 15 წლისაა და თბილისის ტურნირის მეორე წრეში საკვალიფიკაციო შეჯიბრში წარმატებული თამაშის მერე გავიდა. აქვე შეგახსენებთ, რომ მან ჩვენებური ნანა უროტაძე დაამარცხა. ერთი სიტყვით, ბულგარელი კორტზე თავდაჯერებული გავიდა და ეტყობოდა, იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ კოხტა მარიანამ ტოლი არაფერში დაუდო, მძლავრი მოწოდებებითა და ჭკვიანური თამაშით პანჯეროვა აშკარად დაჩაგრა. ამიტომაც იყო, თავმოყვარე ბულგარელი მეტოქეს რომ ვერაფერს უხერხებდა, მსაჯს ხშირად ეკამათებოდა და მასთან დავას საკმაო ძალ-ღონე შეალია. დავა-კამათით კი ვერაფერს გამორჩა და მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც „პატარა რუსმა“ ირგუნა.

**მეორე წრე: მარიანა დიას-ოლივა (1, არგენტინა) — რაისა გურევიჩი (რუსეთი) 7:5, 6:2; ანასტასია როდიონოვა (8, რუსეთი) — იოლანდა მენსი (ჰოლანდია) 6:1, 6:1; მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) — ლუდმილა ნიქოიანი (რუსეთი) 6:3, 6:7 (5:7), 6:3; მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) — ალიონა პაულენკოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:4; მარიანა იუფეროვა (რუსეთი) — ანტუანეტა პანჯეროვა (4, ბულგარეთი) 7:5, 6:2; ივლინ ფაუტი (5, ავსტრია) — გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) — 6:3, 6:1; ლუბომირა კურაჩკოვა (სლოვაკეთი) — ევა დირბერგი (2, დანია) 6:0, 2:6, 6:2**

**მეოთხედფინალში ითამაშებენ**

**დიას-ოლივა — როდიონოვა, ჩახნაშვილი — ბეიგელზიმერი, გოლოვიზნინა — იუფეროვა, ფაუტი — კურაჩკოვა.**

**სოსო ქოტორეიშვილი**

რაგბი

# მორაგბეებმა მედლები შემოდგომაზე დაითვალეს

**გუშინწინ** კინოთეატრ „ამირანში“ ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე წინა ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორები დააჯილდოვეს. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ ბოდიში მოიხადა ამ ცერემონიალის დაგვიანებისთვის და დარბაზში შეკრებილ მწვრთნელ-მორაგბეებს მომავალში უფრო ორგანიზებულ სანახაობას დაპირდა. შარშანდელ ჩემპიონ ბათუმის „დათვებს“ ოქროს, თბილისის „ყოჩებს“ ვერცხლის, ხოლო თბილისის „ლოკომოტივი 1“-ს ბრინჯაოს მედლები და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, კლოდ სორელის მიერ ჩამოტანილი ბურთები გადასცეს. ეს ცერემონიალი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან გუნდებს მეხუთე ტურის მატჩებზე მიეჩქარებოდათ. მანამდე კი ქართულ რაგბიში გაწეული ღვაწლისთვის ასკ-ს მთავარი მწვრთნელი გოჩა აბაშიძე უცხოური წარმოების ფერადი ტელევიზორით და მწვრთნელისთვის საჭირო ინვენტარით დაასაჩუქრეს. ამის შემდეგ ბიძინა გეგიძემ საზოგადოებას ჭაბუკთა ნაკრების ახალი მწვრთნელები შემადგენლობა წარუდგინა. ამიერიდან ჩვენს კადეტებს პაატა ნარიმანიშვილი დამოძღვრავს, ამ საქმეში კი მას მამუკა ტყეშელაშვილი და ლევან მაისაშვილი შეეშველებიან.

**ბაჩო სვანიძე**


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით. ტელ: 60-21-23


*გუშინდელ „სარბიელში“ ფორმულა 1-ის ცხრილი უჩვეულო სახით დაიბეჭდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით და დღეს სწორ ვარიანტს გთავაზობთ.*

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | 10 | – | – | – | 6 | 6 | 10 | 10 | | | 88 |
| 2 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | 6 | 1 | 3 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 6 | – | | | 80 |
| 3 კულთჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | 6 | 4 | 10 | – | 10 | 6 | 4 | 4 | 3 | – | 2 | | | 63 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | 3 | 6 | 6 | 4 | 4 | 10 | 3 | – | – | 6 | | | 55 |
| 5 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | – | – | – | 2 | – | – | 2 | 4 | 4 | – | | | 24 |
| 6 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | – | – | – | – | – | – | – | | | 18 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | – | – | 3 | 3 | – | – | – | – | – | 3 | | | 14 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | – | – | – | – | – | – | 1 | 1 | – | 4 | | | 11 |
| 9 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | – | 1 | – | 2 | – | – | – | – | – | 2 | 3 | – | 2 | – | – | | | 10 |
| 10 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | – | – | 1 | 1 | – | – | – | – | – | – | | | 6 |
| სალო (ზაუბერი, ფინეთი) 6, ვერსტაპენი (ეროუსი, ჰოლანდია) 5, ირვაინი (იაგუარი, ბრიტანეთი), ზონტა (BAR, ბრაზილია) 3, დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი), ვურცი (ბენეტონი, ავსტრია) — 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | 13 | 6 | 16 | 4 | 4 | 10 | 9 | 6 | 10 | 16 | | | 143 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | 10 | 11 | 3 | 16 | 6 | 10 | 14 | 13 | 6 | 2 | | | 133 |
| 3 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | – | – | – | 2 | 2 | 3 | 2 | 6 | 4 | – | | | 34 |
| 4 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | – | – | – | – | – | 2 | – | | | 20 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | – | – | 1 | 1 | – | – | 1 | 1 | – | 4 | | | 17 |

*BAR 17, ეროუსი 7, ზაუბერი 6, იაგუარი 3 ქულა. მაკლარენს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**კორაჩის თასი. პირველი შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი**

## მაკაბი 79:101 ბკ გროდნო 93

27 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. I ტაიმი

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (13), წოწელია (8), ტალაბაძე (7), ტუჯანი (22), ფერიაშვილი (6); თორთლაძე (4), გოგობერიშვილი, დეჩუმი (10), შანიძე (9)

**ბკ გროდნო 93:** კლიმეზი (10), ჯარმუხამედოვი (10), ვასილევკო (7), კვაშჩუკი (21), საფრონოვი (5); კაჩანი, კოშჩუნი (14), კრიშჩიკი (7), ბესმერტნი (13), პინტიკოვი (14)

*მსაჯები: ვლადიმერ დრობიკოვსკი (უკრაინა), ვლადიმერ დადუგინი (რუსეთი)*

# გროდნოელებმა გამოისეირნეს, თბილისელები გაისეირნებენ

**თავიდანვე** უნდა მოგახსენოთ, რომ თბილისის „მაკაბი" კიდევ ერთი ქართული კლუბია, რომელიც პირველივე ეტაპის შემდეგ უსახელოდ დაეთხოვება კორაჩის თასს. ჩვენებურთა მეტოქემ, ბელარუსის ჩემპიონმა „ბკ გროდნო 93"-მა თბილისშივე მოუთავა ხელი „მაკაბის", საპასუხო მატჩს აზრი დაუკარგა და სპორტის სასახლეში შეკრებილი ქომაგობაც გვარიანად გაგვაწბილა. ერთი და იგივე მეორდება ყოველ წელს და ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდეთ: ქართულ კლუბთათვის ევროთასზე თამაში დროის ფლანგვაა და მეტი არაფერი, ჩვენს გუნდებს ევროპაში ყველა დაუნდობლად ასილაქებს.

გაუშვი, ითამაშონ, რაიმეს მაინც ისწავლიანო — აუცილებლად შემომეპასუხება მავანი. არა, ბატონებო, ვერ ისწავლიან, სწავლა რომ სდომებოდათ, აქამდე ისწავლიდნენ, ის მაინც ეცოდინებოდათ, რომ კლუბს, რომელსაც ერთი სრულფასოვანი შეკრებაც არ გაუვლია, ევროპაში ყოველთვის თავი მოეჭრება.

არადა, გუშინდელი მატჩი ქართულ-ებრაულმა „მაკაბიმ" მისთვის საიუბილეო თარიღს, დაარსებიდან ათი წლისთავს დაამთხვია. იუბილე, ბუნებრივია, იმისთვისაა, აღნიშნო, მაგრამ, ვფიქრობ, გადაპრანჭულმა ღონისძიებამ, რომელიც შეხვედრას უძღოდა, თავად საკალათბურთო სანახაობა დაჩრდილა. მატჩის დაწყება საათზე მეტხანს შეფერხდა, რამაც, სხვისას ვერ დავიჩემებ და, პირადად ჩემი სპორტული ინტერესი შეიწირა. ყოველივე აქედან გამომდინარე, სხვა დროს მსგავს ღონისძიებებზე დასწრებას ფილარმონიაში, ანაც სხვა რომელიმე კულტურულ ცენტრში ვისურვებდი, მით უფრო, რომ გუშინ ქვეყნის უმთავრეს საკალათბურთო სარბიელზე კალათბურთი ვერ ვნახე.

ჩვენს „მაკაბის" „გროდნომ" ყველაფერში აჯობა. სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც ნელ-ნელა ქულებშიც გარდასახეს და მშვიდი ბურთაობა გააჩაღეს. მათი მხრიდან ეს სულაც არ იყო გასაკვირი, „მაკაბი" „გროდნოს" სერიოზულ საფრთხეს ვერ უქმნიდა და ბელარუსები ზედმეტად რატომ აიტკივებდნენ თავს.

მწვრთნელებმა მოედანზე ხუთეულები რომ განალაგეს, მაშინათვე ცხადი გახდა, რომ „მაკაბის" ყველაზე დიდი პრობლემა ფარქვეშ შეექმნებოდა. გროდნოელები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ სიმაღლეში, მათი ძირითადი ცენტრი საფრონოვი კი სულ ცოტა, ერთი თავით აღემატებოდა ყველაზე ტანმაღალ ჩვენებურს.

ვარაუდი გამართლდა. „გროდნო" უპრობლემოდ გაბატონდა ფარზე და შედეგად საწყისი ქულებიც უმეტესად ფარქვეშიდან მოიპოვა. სტუმართაგან ყველაზე აქტიური ოლეგ კვაშჩუკი გახლდათ, რომელიც შეუფერხებლად გადი-გამოდიოდა „მაკაბის" დაცვაში და საჰაერო ორთაბრძოლებშიც სულ მოგებული რჩებოდა. მისი გაუვნებლება „მაკაბის" კამერუნელთაგან ერთ-ერთს, ჟოლივეტ ტუჯანის დაეკისრა, რომელიც აშკარად ვერ უმკლავდებოდა ბელარუსთა თავდამსხმელს, მწვრთნელები კი ჯიუტად არ უცვლიდნენ ფუნქციას.

გავიდა ორიოდ წუთიც და „გროდნომ" დაარწმუნა „მაკაბი", რომ უკანა ხაზშიც არანაკლებად ჰქონდა მოწესრიგებული საქმე. სტუმართა მსროლელი ალექსეი პინტოკოვი მოედანზე სულ ახალი შესული იყო, უყურადღებობისთვის სამქულიანით რომ დასაჯა მეტოქე და მატჩის დებიუტშივე სოლიდური უპირატესობა დაუბევა თავის გუნდს — 9:1.

ამის შემდეგ დავით ტალაბაძის ზუსტმა სამიანმა ოდნავ გამოაფხიზლა „მაკაბი", მაგრამ მიხვდებოდით, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო, რადგან გროდნოელთა კოლექტიური თამაშის წინააღმდეგ მაკაბელთა ინდივიდუალური მცდელობანი დიდხანს ვერ მოიტანდა შედეგს.

სტუმრებმა საწყის წუთებში არჩეული ტაქტიკა უცვლელი დატოვეს და ამით არც წაუგიათ. დრო გადიოდა და „მაკაბის" სულ უფრო და უფრო უჭირდა ბურთის კალათში ჩაგდება, მეტოქე კი კიდევ უფრო ზრდიდა უპირატესობას და კვლავინდებურად კვაშჩუკის წინამძღოლობით ახერხებდა ამას. საერთო სურათი ვერც რამაზ გოგობერიშვილის და დავით თორთლაძის გამოჩენამ შეცვალა, რომლებიც ამ მატჩში „მაკაბის" ლიდერებად ივარაუდებოდნენ, მწვრთნელებმა კი ჩვენთვის უცნობი მიზეზით კარგა ხანს სათადარიგოებში ამყოფეს.

პირველი პერიოდი (შეგახსენებთ, წესები შეიცვალა და ამიერიდან ფიბა-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში გუნდები ოთხ ათწუთიან ტაიმს ითამაშებენ) „მაკაბიმ" ათი ქულით (15:25) დათმო და სავარაუდო იყო, რომ ორწუთიანი პაუზის შემდეგ მასპინძლები რაიმე ახალს შესთავაზებდნენ მეტოქეს. მსგავსი არაფერი მომხდარა, ერთი კომბინაცია რაა, რიგიანად ისიც არ განუხორციელებია „მაკაბის" და რა გასაკვირია, რომ მეტოქეს კიდევ უფრო ჩამორჩა. მხოლოდ კამერუნელი ტუჯანი იყო მოწადინებული და რომ არა იგი, თოთხმეტი რაა, რატომ კარგა მეტი ქულით არ უნდა მოეგო „გროდნოს" ტაიმი.

არა მგონია, ამის შემდეგ ისეთი რაიმე მომხდარიყოს მოედანზე, სათხრობად ღირდეს. ბელარუსთა მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ბორისოვი უმეტესად მოთამაშეებს ცვლიდა და არც არავისგან გაწბილებულა. აქედან მოყოლებული ბოლომდე ერთადერთი საზრუნავი ჰქონდათ ჩვენებურებს — რაც შეიძლება ნაკლები სხვაობით წაეგოთ. ეგ იყო და ეგ.

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ ვერავინ დამარწმუნებს, რომ „მაკაბი" სტუმრად სასწაულს მოახდენს და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული გამოვა. ბელარუსში ტურისტებად თუ ჩავლენ თბილისელები, ქართულმა კლუბმა, როგორც წესი, პირველივე რაუნდში ნოკაუტი იწვნია.

შოკირებულია გულშემატკივარიც, მიზეზიც არსებობს: ქართული კლუბის ღირსებას ქართველებზე მონდომებით ვგლაჯ, კამერუნელები, ტუჯანი და დეჩუმი იცავდნენ.

**გიორგი ბიკაშვილი**



უტევს მაკაბელი რომეო დიდიე დეჩუმი



არსენი ბესმერტნიმ, თანაგუნდელთა მსგავსად, თბილისელთა ფარქვეშ ისეირნა



ალექსანდრ ბორისოვმა გროდნოელები გონივრულად დამოძღვრა

## მატჩის შემდეგ

*ნამატჩევს დამარცხებულებთან გასაუბრება არც გვიცდია, აქამდე ბევრჯერ გაგონილის კიდევ ერთხელ მოსმენა თავიდან ავიცილეთ და მხოლოდ „გროდნოს" მწვრთნელ ალექსანდრ ბორისოვის მცირე კომენტარს დავჯერდით:*

*— ამ თამაშისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით, თავადაც ნახეთ, ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, რაც ძალიან მახარებს. ისე, არ დაგიმალავთ და ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდით.*

*თქვენი გუნდიდან ვერავის გამოვყოფ, ჩემებს კი ძალიან ვემადლიერები, კარგად გაართვეს თავი ჩემს დავალებებს, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა „მაკაბის" დასამარცხებლად. განსაკუთრებით სასტარტო ხუთეულმა გამიმართლა.*

*ჩანს, „მაკაბი" ახალგაზრდული გუნდია, ყველა მხრივ უამრავი სამუშაო აქვს. ისიც აშკარაა, რომ თქვენებურებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, კალათბურთელები, ალბათ, მსგავსი დონის შეხვედრების დეფიციტს განიცდიან.*

*ამ მოგებით, ვფიქრობ, გავინაღდეთ შემდეგ ეტაპზე გასვლა. დღევანდელი მატჩის მიხედვით „გროდნო" „მაკაბიზე" ერთიორად ძლიერია და არა მგონია საპასუხო შეხვედრის შემდეგ საპირისპირო აზრზე დავდგე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამარანჩს უშენებია

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, უთქვამთ ქართველებს. და რა აღარ უთქვამთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტზე, ხუან ანტონიო სამარანჩზე, მაგრამ სწორედ ამ ესპანელი მოღვაწის ხელში იქცა ოლიმპიური თამაშები გრანდიოზულ მოვლენად და სწორედ მისი მეცადინეობით გადაიდგა პირველი თვალსაჩინო ნაბიჯი საბჭოეთის დანგრეული კორეის გაერთიანებაში.

სიყვარულს უშენებიაო... სამარანჩი დიდი გამოცდის წინაშე დააყენა ბედმა. ოლიმპიადის გახსნის შემდეგ ბერიკაცი ავსტრალიიდან შინ დაბრუნდა. მეუღლე უკანასკნელ გზაზე გააცილა და ისევ სიდნეისკენ გაეშურა. და აი, მიმჯდარა ტექნოლოგიურ ცენტრში კომპიუტერთან, ინტერნეტში ოლიმპიადის ოფიციალურ გვერდს ათვალიერებს. ძლიერი კაცია!





# ამაოება

აი, ამ იაპონელმა გულშემატკივარმა სახე შეიღება, ლოყაზე ეროვნული დროშა დაიხატა, მერე ეს საკმარისი არ არისო და ნამდვილი დროშა წამოიფარა თავზე, მაგრამ რად გინდა — იაპონიის ბეისბოლისტთა ნაკრებმა კორეასთან 1:3 წააგო და ბრინჯაო გაატანა.

ისე, შეხედეთ მეორე ფოტოს. მოიგებდა კორეა, აბა რას იზამდა. პარკ ჯონგ-ჰოს ნაირად აღგზნებული ხალხი, მონდომებისგან ტაფელებს რომ ლეწავენ, შეიძლება დამარცხდეს?



# იქ მინდა

პლაჟის ფრენბურთის ფინალზე მინდა. წარმოიდგინეთ, დაბლა ავსტრალიელები კერი-ენ პოტჰარსტი და ნატალი კუკი ბრაზილიელებს ადრიანა ბეარსა და შელდას ეთამაშებიან, შენ კი ზიხარ ტრიბუნაზე აი, იმ ქერა გოგოსა და დროშიანს შორის და მოედანს სულ არ უყურებ.



# რაც კარგია, კარგია

დედიკო კრისტინა გკოცნის და თავს გევლება, მამიკო მოედანზეა, თამაშს იგებს და პლუს ესპანეთის პრინცი ხარ — ხუან ვალენტინ ურდანგარინი, როგორია? უკაცრავად, დედოფალი ბებო, სოფია, აქეთა გვერდს გიმშვენებს. ერთი სიტყვით, ესპანეთის ხელბურთელთა ნაკრებმა გერმანიას მეოთხედფინალში 27:26 მოუგო.



# უცნაური უცხოელები



გადაგვრევს ეს ხალხი. ჩვენში, სადაც სპორტსმენებისთვის ინვენტარს არ ყიდულობენ, კიდევ შეიძლება ადამიანმა ასეთი რამ გააკეთოს, მაგრამ საფრანგეთში თითი თუ გაატკაცუნე სურვილი აგიხდება და რა გაჭირვება იყო, მძლეოსან მანუალა მონტებრუნს საკუთარი ჩანთით სულელური ვარჯიში არ აეტეხა. იმიტომაც გავარდა შესარჩევი ეტაპიდანვე. აიღე რა, დალოცვილო, ურო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge